საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, ძოგძირიც ბეჭდვეული სიტყვაა, ფაქტიურებით და ჭეშმარიტებით ბეჭდის გადანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ორშაბათი, 24 იანვარი. 2022 წ. №13 (9351) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი



აქტუალური ინტერვიუ

რაულ ჩილაჩავა:

კრემლის გლობალური გეგმაა უკრაინის სახელმწიფოს წაშლა!..

იხ. 2 გვ.

უდავოა, რომ უკრაინა თავის სუვერენიტეტს, რომელსაც, არც მეტი, არც ნაკლები, ათი საუკუნე ესწრაფვოდა, უბრძოლველად არ დათმობს. საამისო განწყობა ქვეყანაში აშკარაა.

საქართველო წმინდა მიწას უბრუნდება

9

მოვახერხებთ ჯვრის მონასტრის დაბრუნებას?!

რადოსლავ სიკორსკი:

„არ ვაპირებთ, რუსეთის ვასალები გავხდეთ“!..

„ერთხელ და სამუდამოდ შეიგნეთ, იმ ენით, რა ენაც გესმით – უთქვენოდ არ დავობლებულვართ, ჩვენი „მამიკო“ კი არა, სერიული მოძალადე იყავით. ამიტომ არ გვენატრებით. თუ ისევ ეცდებით, კვერცხებში ამოგცხებთ“!..

5

რამაზ საყვარელიძე:

გახარიამ თვითონაც არ იცის, სად მიდის და რა უნდა!

4

ფიქრები

სიკეთის და სიყვარულის მომღერალი პოეტი

ქალბატონმა მაყვალა გონაშვილმა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია მიიღო, ვულოცავთ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ასე ლოცავს **მაყვალა გონაშვილს:**

„ქართული მწერლობის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენლის, ქალბატონი მაყვალა გონაშვილის სინატიფითა და სიღრმით გამორჩეული პოეზია მკითხველს ეროვნულ ფასეულობებს შეახსენებს და ამაღლებულ განწყობას უქმნის. ღმერთმა დალოცოს ქალბატონი მაყვალა და დიდხანს ამუშაკოს ერის სამსახურად.“

ღმერთს უყვარხარ!

ჩემო მაყვალა!

საოცრად გამახარა შენმა წარმატებამ. ადრეც მითქვამს და ვიმეორებ: შენ ჭეშმარიტად ქართული პოეზიის დედოფალი ხარ!

ეს აზრი შენს პოეზიასა და პიროვნებაზე ფიქრისას სამმა გარემოებამ განმიმტკიცა:

უპირველესი ის არის, რომ შენ შეძელი მართალი, გულში ჩამწვდომი ლექსით მაღალი მატერიებისადმი გულგრილ ამ საუკუნეში ჩვენი თანამედროვის ლამის გაუხეშებული სულის სიმები შეგერხია. შენი პოეტური აზროვნება სრულიად ახალია, ორიგინალური. იმ სუპერპრობლემებს დასტრიალებს, რასაც აქამდე კალამი არ შეხებია.

მეორე: შენი დედოფლობა ჩვენი ბედდამწვარი ერისადმი შენმა დაუცხრომელმა ჭირისუფლობამ განაპირობა. ქვეყნის გადარჩენის, მისი ვერდაჩოქების სადარაჯოზე დგახარ და არ იღლები. მამულის ბედის გამოკვერვა დაგისახავს მიზნად და ამ რუდუნებაში უკომპრომისო ხარ, მამაცი და ხშირად თავგანწირულიც. ამ შეუპოვრობით შეძელი, რომ თავგასულობის მრისხანე ათწლეულში მწერალთა კავშირიც გადაგერჩინა და ქართველი მწერლის უმწიკვლო ავტორიტეტიც.

მესამე, ღირსეულთა მიმართ სათნო და მომფერებელი, არაერთგზის მინახიხარ შეჭირვებული მოყვასისთვის უკანასკნელი ლუკმა რომ გიწილადებია.

რა დროული და დიდებული ხარ მოშუღარ ძმათა შორის ჩასაგდები მანდილით ხელში. ვინძლო საქართველო არ ჩავაძინოთ, ვინძლო ერთგულად ვუგუშაგოთ ჩვენს ტანჯულ მამულს, ვინძლო ერთად გავიტანოთ ჩვენ-ჩვენი ხნული, ჩვენი შთაგონების ანეულში.

...და მერე, თუ შევატყვე, რომ ვეღარ მოგყვები და სადღაც ჩამუხლულს სამუდამოდ შემომაღამდება, ბედნიერად ჩავთვლი თავს შენი წმინდა ცრემლის ერთი წვეთიც თუ დამეცემა.

არ შეგეშინდეს, შენი თანმიმდევრობის და სრულყოფისათვის ღმერთს უყვარხარ, მაყვალა!

რევაზ მიშველაძე,
რუსთაველის პრემიის ლაურეატი

იხ. 6-7 გვ.



უკრაინის ირგვლივ მიმდინარე პროცესებზე, უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიული ქმედებების წინ კიევსა და უკრაინაში არსებულ ვითარებაზე, ასევე მოვლენათა განვითარების სავარაუდო სცენარებზე „ინტერპრესნიუსი“ უკრაინაში მოღვაწე ქართველ პოეტს, მთარგმნელს, პუბლიცისტს, დიპლომატს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს, რაულ ჩილაჩავას ესაუბრა.

რაულ ჩილაჩავა:

კრემლის გლობალური გეგმაა უკრაინის სახელმწიფოს წაშლა!..

— ბატონო რაულ, მას შემდეგ, რაც კრემლმა დასავლეთს ულტიმატუმი წაუყენა, საერთაშორისო ურთიერთობებში ვითარება საკმარისზე მეტადაა დაძაბული. „ცივი ომის“ შემდეგ მსოფლიო ასეთ რთულ ვითარებაში რომ არ ყოფილა, ფაქტია.

კრემლი ვაშინგტონისა და დასავლეთისგან პოსტსაბჭოთა სივრცეზე კონტროლს ღიად, უხეშად და უკრაინის წინააღმდეგ ომის დაწყების მზადების ფონზე კატეგორიულად და დაჟინებით მოითხოვს. მოსკოვის ულტიმატუმს კოლექტიურმა დასავლეთმა ასევე კატეგორიული უარით უპასუხა.

დასავლეთი აცხადებს, რომ რუსეთის ულტიმატუმიდან არც ერთი პუნქტი არ შესრულდება. ამგვარი განცხადებების ფონზე მოსკოვიდან მაინც ისმის საუბრები იმაზე, რომ არა მარტო აღმოსავლეთ ევროპაში არ უნდა იყოს ნატო, არამედ ატლანტიკური ალიანსი უნდა დაიშალოს, მეტიც ევრაზიული სივრცის ერთადერთი ბატონ-პატრონი მოსკოვი უნდა იყოს.

— როგორ შეაფასებდით იმას, რაც ახლა ვაშინგტონსა და რუსეთს, ევროპასა და რუსეთს შორის ხდება?

— ისე ვერ გავკადნიერდები, რომ თავს ვიდო მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე საერთაშორისო ურთიერთობათა შეფასება, მაგრამ რამდენადაც დღეს მათი ერთ-ერთი უმთავრესი ასპექტი სწორედ უკრაინა-რუსეთის გარშემო შექმნილი ვითარებაა, რომელშიც ჩართულია აშშ, ევროკავშირი და ნატო, შევეცდები, მოვლენებს ამ კონტექსტიდან შევხედო.

თქვენ მკაფიოდ წარმოაჩინეთ ის ფონი, რომელზეც მიმდინარეობს რუსეთის უპრეცედენტო დაპირისპირება დასავლეთთან, რაც გავლენის სფეროთა მკვეთრად გადანაწილების მცდელობაში გამოიხატება. მსგავსი ულტიმატუმი ასე აშკარად და ერთმნიშვნელოვნად თვით სტალინსაც არ წაუყენებია ვინმესთვის თავისი მილიტარისტული ზეობის ჟამსაც კი. ოპონენტების მხრიდან მსგავს სითავხედეს მიუჩვეველი ვაშინგტონი თავიდან თითქოს დაიბნა, მაგრამ ამჯერად ვხედავთ, რომ იგი არ აპირებს რაიმე დათმობაზე წასვლას. განხეთქილების ვაშლი უკრაინაა, რომელიც რუსეთს არა მხოლოდ საკუთარი გავლენის სფეროდ, არამედ საკუთარ ტერიტორიად მიაჩნია. საქმე გვაქვს კრემლის მიერ ინსპირირებულ გლობალურ დიპლომატიურ კრიზისთან, რომლის მოგვარების ალტერნატივად სულ უფრო ხშირად სახელდება რუსეთის პირდაპირი ინტერვენცია უკრაინაში, რასაც შესაძლოა დიდი გეოპოლიტიკური ძვრები მოჰყვეს. ამავე დროს აშკარაა, რომ უკრაინას არ სურს ომი რუსეთთან. სწორედ ამიტომ გადადგა მან მეტად საეჭვო ნაბიჯი და პრეზიდენტად აირჩია პოლიტიკური გამოცდილების სრულიად არმქონე კლოუნი, რომელიც ამტკიცებდა: მთავარია, შევწყვიტოთ სროლა და კონფლიქტი რუსეთთან დამთავრდებაო! სცადა სროლის შეწყვეტა, მაგრამ კონფლიქტი კი არ დასრულდა, პირიქით, ნამდვილი ომის საფრთხეში გადაიზარდა.

— იმაზე, თუ რატომ შეარჩია კრემლმა დასავლეთზე, როგორც მოსკოვში ამბობენ „გადამწყვეტი იერიშის მიტანის“ დროდ, გასული წლის ნოემბერ-დეკემბერი, ბევრი ითქვა და დაიწერა. ზოგი თვლის, რომ საერთაშორისო ასპარეზზე კრემლის გააქტიურება ქვეყნის შიგნით, უპირველესად კრემლთან დაახლოებულ ელიტებში პუტინის პოზიციების შერყევას უკავშირდება.

ზოგი, პირიქით, თვლის, რომ მისი პოზიციები იმდენად ძლიერია, მას ახლა გაუჩნდა ამბიცია ისტორიაში, როგორც არა სსრკ-ის აღმდგენის, არამედ რუსეთის იმპერიის აღმდგენის სახელით შევიდეს. მას კი ამისთვის დრო ბევრი არ აქვს და ესაა ყველაფრის მიზეზი.

დასავლეთის მიერ კრემლის ულტიმატუმის მიღების ვადებად მოსკოვს ჩინეთში ზამთრის ოლიმპიადის დაწყებამდე დრო აქვს განსაზღვრული. ოლიმპიადა ჩინეთში 4 თებერვალს უნდა გაიხსნას. ანუ, დრო სულ უფრო და უფრო ცოტა რჩება. სავარაუდოდ, რაა მიზეზი იმისა, რომ კრემლმა შეტევაზე გადასვლის დროდ 2022 წელი შეარჩია?

— კონსპიროლოგიურად თუ ვიმსჯელებთ, არის თქვენს ვარაუდში ჭეშმარიტების მარცვალი, აკი 2008 წლის აგვისტოშიც პეკინის ოლიმპიადა (მართალია, საზაფხულო) მიმდინარეობდა! თქვენი არგუმენტები სრულიად ლოგიკურია, თუმცა მე მაინც ვთვლი, რომ უკრაინა პუტინისთვის არის იდეა-ფიქსი და იგი ცდილობს ნებისმიერ ფასად არ დაუშვას მისი ნატოში გაწევრება ანუ ე.წ. „რუსული სამყაროდან“ საბოლოოდ მოწყვეტა და მოწინააღმდეგე ბანაკში გადაბარგება. შეუძლებელია, კრემლის ახლანდელ „ხაზეინს“ არ ახსოვდეს ზბიგნევ ბჟეზინსკის ცნობილი გამონათქვამი: „უკრაინასთან ერთად რუსეთი იმპერიაა, უკრაინის გარეშე კი — არა!“

— დასავლეთსა და რუსეთს შორის დიპლომატიური მოლაპარაკებები უკრაინაში ომის დაწყების რუსული შანტაჟის ფონზე დაიწყო. დამკვირვებელთა უმეტესობა თვლის, რომ დასავლეთს, მათ შორის ვაშინგტონს მოსკოვთან დიპლომატიური კონსულტაციები მანამდე არ უნდა დაეწყო, ვიდრე რუსეთი უკრაინის საზღვრიდან თავის ძალებს არ გაიყვანდა.

მოსკოვი დღემდე უარყოფს უკრაინასთან ომის დაწყების ალბათობას, მაგრამ, მას რომ უკრაინის საზღვარზე 100 000-ზე მეტი რუსი სამხედროები ჰყავს მობილიზებული, ფაქტია. ბელარუსში რუსული ჯარების აქტიურობა, უკრაინის აღმოსავლეთ და სამხრეთ აღმოსავლეთში რუსული ჯარების მოძრაობები იმაზე მიუთითებს, რომ ომის დაწყებაზე კრემლის შანტაჟი დასრულებულია, და იგი მოქმედებაზე ნებისმიერ დროს გადავიდეს.

დასავლეთი რუსეთს ეკონომიკური სანქციებით ემუქრება, მაგრამ, ახლა როცა რეალურად არსებობს რუსეთის მხრიდან უკრაინის წინააღმდეგ ომის დაწყების ალბათობა, რა ხდება თავად უკრაინაში?

— უკრაინას, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სურს მშვიდობა, მაგრამ რამდენადაც შეუძლია, ომისთვისაც ემზადება. ვლადიმერ ზელენსკის არ სჯერა რუსეთთან ომის გარდუვალობა და ამის შესახებ ილაპარაკა კიდეც ამ რამდენიმე დღის წინ თავის ვიდეო გამოსვლაში. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში იგრძნობა დაძაბულობა, რადგან ერთია პრეზიდენტის ოპტიმიზმი და მეორე — დამოკლეს მახვილი, რომელიც აშკარად ჰკიდია უკრაინის ცაზე. მართალია, ამ ბოლო დროს ზელენსკი ცოტა სხვანაირად ფიქრობს და თვლის, რომ პუტინისთვის მთავარია არა დონბასი, არამედ ყირიმი, უფრო სწორად ყირიმის იურიდიულად შემომტკიცება ანუ უკრაინის მიერ მის გარშემო ნებისმიერი პრეტენზიის უარყოფა. ამ მიზნით პუტინმა შესაძლოა ხარკოვის ოკუპაცია მოახდინოსო, დასძენს ზელენსკი. ასეა თუ ისე, რუსული აგრესიის განახლება ამჟამად მისთვისაც რეალური ჩანს.

— იმის გათვალისწინებით, რომ ომის დაწყების საფრთხე რეალურია, როგორც კიევში, ისე მოსკოვში რუსეთის სავარაუდო სცენარებს განიხილავენ.

სამხედრო დამკვირვებელთა ნაწილი თვლის, რომ ამ ეტაპზე პუტინის ამოცანა იქნება მდინარე დნეპრზე გასვლა, რუსული მართლმადიდებლობისთვის თითქოს ასე მნიშვნელოვან ხერსონესზე კონტროლის დაწესება, ასევე ოდესაზე იერიშის მიტანა და უკრაინის შავი ზღვის სანაპირო ზოლის დაკავება.

მეტიც, მოსკოვის სახელისუფლებო წრეებში საუბრობენ იმაზე, რომ პუტინი არ აპირებს იმ სახით უკრაინის აღდგენაზე ფიქრს, როგორც იგი სსრკ-ის დროს იყო. ღიად საუბრობენ უკრაინის სახელმწიფოს გადაფორმატირებაზე.

სავარაუდოდ, რას შეიძლება ნიშნავდეს როგორც თავად ამბობენ, პირველ ეტაპზე კრემლის უკრაინული გეგმები?

— კრემლის გლობალური გეგმაა უკრაინის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს წაშლა მსოფლიოს რუკიდან. პუტინი ამ მიზანს არ მალავს და იგი კიდევაც განმარტა თავის ფსევდოისტორიულ ტრაქტატში, რომლის მიხედვითაც არავითარი უკრაინელი ერი არ არსებობს, ისევე, როგორც არ არსებობს უკრაინული ენა, რომელიც, მისი მტკიცებით, ველიკორუსული ენის სამხრეთული, ანუ მალოროსიული დიალექტია. ამიტომ უკრაინამ უნდა შეწყვიტოს დამოუკიდებლობანას თამაში და დაუბრუნდეს დედა-რუსეთის წიაღს. რაკი უკრაინა მსგავსი იდეის მიმართ მცირე ენთუზიაზმსაც არ ავლენს, რუსეთი მზადაა, იგი ძალით დაიბრუნოს. მსოფლიო პრესა ფართოდ მსჯელობს კრემლის სხვადასხვა სამხედრო სცენარზე, დაწყებული ე.წ. ნოვოროსიის ანექსიით, დამთავრებული მთელი ქვეყნის ოკუპაციით. რა თქმა უნდა, თუკი ამას მოახერხებს. აქ საკვანძო და უმთავრესი სიტყვაა „თუკი!..“

— ფაქტია, რომ უკრაინა ემზადება დიდი ომისთვის. ვიცით, რომ უკრაინაში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების შედეგებით ქვეყნის მოსახლეობის 30-32% მზადაა, იარაღით ხელში ჩაერთოს რუსეთთან ომში.

უკრაინის კულტურის სამინისტრომ მოამზადა ბროშურები, სადაც ნაჩვენები და აღწერილია თუ როგორ უნდა მოიქცნენ მოქალაქეები, ბიზნესი და სხვადასხვა სახის ობიექტები ქვეყანაში საგანგებო სიტუაციებისა და საბრძოლო მოქმედებების დროს.

მათი დარიგება დაიწყო დიდ ქალაქებში, ჯერ კერძო და საჯარო ორგანიზაციებზე, შემდეგ კი იწყება საზოგადოების აქტიური მომზადება შესაძლო ომისთვის. პარალელურად, 20 იანვარს უკრაინის თავდაცვის სამინისტრომ გამოაქვეყნა სამოტივაციო ვიდეო რგოლი და მიმართვა, რომ უკრაინა მზადაა ბრძოლისთვის.

რამდენად მზადაა პოლიტიკური კლასი და საზოგადოება, ქვეყნის შეიარაღებული ძალები წინააღმდეგობა გაუწიოს აგრესიულ მეზობელს, რომელიც თვლის, რომ უკრაინელი ერი არ არსებობს და შესაბამისად უკრაინა, როგორც სახელმწიფო არ უნდა არსებობდეს?

— უდავოა, რომ უკრაინა თავის სუვერენიტეტს, რომელსაც, არც მეტი, არც ნაკლები, ათი საუკუნე ესწრაფვოდა, უბრძოლველად არ დათმობს. საამისო განწყობა ქვეყანაში აშკარაა. მიუხედავად ამისა, დიდია მშვიდობის შენარჩუნების და კონფლიქტის დიპლომატიური გზით მოგვარების სურვილიც, რადგან ყველამ კარგად იცის, რომ ამ ომს, თუკი იგი გაჩაღდა, მოჰყვება უამრავი მსხვერპლი, ნგრევა, ეკონომიკური კოლაფსი.

— ღმერთმა არ ქნას, მაგრამ თუ რუსეთმა უკრაინის წინააღმდეგ ომი დაიწყო, მაგრამ ვიცით, რომ უკრაინა რუსეთთან დაპირისპირებაში ისტორიაში, როგორც არა სსრკ-ის აღმდგენის, არამედ რუსეთის იმპერიის აღმდგენის სახელით შევიდეს. მას კი ამისთვის დრო ბევრი არ აქვს და ესაა ყველაფრის მიზეზი.

გუშინ უკრაინამ ამერიკისგან ლეტალური იარაღის დიდი პარტია მიიღო

ბაში მარტო არ იქნება. ვიმეორებ, ღმერთმა არ ქნას ომი მართლა დაიწყოს, მაგრამ ბევრი იმაზეც საუბრობს, რომ თუ ომი დაიწყო, იგი 2008 წლის აგვისტოს ომივით 5-დღიანი არ იქნება.

ბევრი იმასაც ამბობს, რომ ეს ომი რუსეთისთვის მეორე ავღანეთად შეიძლება იქცეს. რამდენად საკმარისად ეხმარება დასავლეთი უკრაინას სამხედრო ტექნიკით, რამდენად დიდია იმის ალბათობა, რომ უკრაინულ-რუსული დაპირისპირება რუსეთისთვის შესაძლოა მეორე ავღანეთი აღმოჩნდეს?

– უკრაინასთან ფართომასშტაბიან ომს რუსეთი, იმედია, არ დაიწყებს. ცხადია, თუკი (ისევ ამ სიტყვას მოვიშველიებ) იქ კიდევ დარჩნენ საღად მოაზროვნე პოლიტიკოსები. ჩვენ ვიცით, რომ უკრაინა ევროპის უდიდესი სახელმწიფოა საკმაოდ ძლიერი სამხედრო პოტენციალითა და ადამიანური რესურსებით. თუ რუსეთმა ომი დაიწყო, ეს პოტენციალი და რესურსები საერთაშორისო თანამეგობრობის ხარჯზე მრავალგზის გაიზრდება. იგი ნამდვილად არ დარჩება მარტო აღვირახსნილი დამპყრობლის წინააღმდეგ, რომელიც ჩემი ღრმა რწმენით, ნამდვილად ვერ შესძლებს მთელი ქვეყნის ოკუპაციას, რადგან საამისოდ არ ეყოფა არც ფინანსები და არც სამხედრო ძალა.

– ბლინკენ-ლავროვის შეხვედრა დასრულდა. მხარეებმა თავისი პოზიციები კიდევ ერთხელ დაადასტურეს.

დამკვირვებელთა ნაწილი დარწმუნებული იყო, ვაშინგტონსა და რუსეთს, დასავლეთსა და რუსეთს შორის კონსულტაციები უსაფრთხოების საკითხებზე კონსენსუსური შეთანხმებებით დასრულდებოდა და რომ პუტინი ომს არ დაიწყებდა.

ახლა როცა ბლინკენ-ლავროვის შეხვედრა დასრულებულია, განცხადებებიც მოვისმინეთ. თქვენზე რა შთაბეჭდილება დატოვა ამ შეხვედრის შემდეგ გაკეთებულმა განცხადებებმა? უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის მიერ ომის დაწყების ალბათობა კვლავ მაღალი რჩება?

– ალბათობა არსებობს, რადგან სინამდვილეში არავინ იცის პუტინის ზუსტი ჩანაფიქრი. მე მაინც მრჩება შთაბეჭდილება, რომ იგი ბლეფობს და სიტუაციის მაქსიმალური დაძაბვით ცდილობს რაც შეიძლება მეტ დათმობას მიაღწიოს დასავლეთთან. როგორც სერგეი ლავროვმა განაცხადა, ენტონი ბლინკენი მას შეპირდა, რომ აშშ რუსეთის პრეტენზიებზე რამდენსამე დღეში გასცემს წერილობით პასუხს. ეს უკვე საინტერესოა. დაველოდოთ, როგორი იქნება ის პასუხი. რაც მთავარია, გამოაქვეყნებს თუ არა მას მოსკოვი.

– ამერიკულ გამოცემა „Voice of America“-ში გამოქვეყნდა ცნობილი და გამოცდილი ამერიკელი დიპლომატის ალექსანდრე ვერშბოუს ინტერვიუ, სადაც ის ამბობს – „რუსეთმა უკრაინაში კრიზისი ხელოვნურად შექმნა და შედეგად შესაძლოა ის მიიღოს, რის წინააღმდეგაც იბრძვის“.

ახლა როცა უკრაინა საფრთხეშია, მთავარია, უკრაინაში საომარი მოქმედებები არ დაიწყოს. მაგრამ, რაც უფრო მეტ აგრესიულობას ავლენს კრემლი უკრაინის წინააღმდეგ, ფაქტია, რომ კიევს დასავლელი პარტნიორები რუსეთთან ერთი ერთზე არ დატოვებენ. არაა გამორიცხული აშშ-მა და ნატო-მ არა მარტო მეტი სამხედრო დახმარება აღმოუჩინოს უკრაინას, უფრო ეფექტური ნაბიჯები გადადგას უკრაინის ნატოში გასაწევრიანებლად.

მოკლევადიან პერსპექტივაში, სავარაუდოდ, როგორ შეიძლება განვითარდეს პროცესები უკრაინაში და უკრაინის ირგვლივ?

– მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა პუტინს მტკიცედ გადაწყვეტილი უკრაინის ოკუპაცია, იგი შეეცდება ჯერ კიდევ გააგრძელოს დასავლეთთან ვაჭრობა მისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. ნუ დაგვავიწყდება, რომ მას ასევე სჭირდება საკმაოდ დამაჯერებელი საბაბი ომის დასაწყებად. აგრეთვე მისთვის მნიშვნელოვანია ამ ომის პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები, მსოფლიო თანამეგობრობის რეაქცია, უკრაინისთვის აღმოჩენილი დახმარებისა და რუსეთისთვის დაწესებული ახალი სანქციების მასშტაბები. ჩემი აზრით, ამ და კიდეც ბევრ სხვა კითხვაზე, რომლებიც ომის დაწყებამ შეიძლება წამოჭრას, კრემლს მკაფიო პასუხები არა აქვს. მათ გარეშე კი მეზობელ სახელმწიფოში შეჭრა თვით ისეთი ავანტიურისტისთვისაც კი, როგორიც პუტინია, სიგიჟე იქნებოდა.

კობა ბენდელიანი,
„ინტერპრესნიუსი“

ქუჩაში რომ ყვირიან, იმ ადამიანებს იმედი უნდა გავუცრუო, ჩემი გათავისუფლების საკითხი არ დგას!!!

საქართველოს კულტურის მინისტრი თეა წულუკიანი მისი გადადგომის მოთხოვნით შექმნილ პეტიციას გამოეხმაურა და განაცხადა, რომ მისი გათავისუფლების საკითხი არ განიხილება.

„ქუჩაში რომ ყვირიან, იმ ადამიანებისგან განსხვავებით, მე ვარ ძალიან მორჩილი ადამიანი. მორჩილებაში ვგულისხმობ იერარქიისადმი მორჩილებას, გარდა იმისა, რომ ვარ, ასე ვთქვათ, ჩინოვნიკი და კარგი ჩინოვნიკი. სხვათა შორის, მოსკოვში ერთხელ ვარ ნამყოფი, ექვსი წლის ასაკში და სინამდვილეში, საფრანგეთში დავამთავრე სახელმწიფო მართვის უმაღლესი სკოლა. იქ ასწავლიან, რას ნიშნავს ხელმძღვანელი და უფროსი. მე მყავს პრემიერი, რომელიც ჩემთვის ძალიან დიდი ავტორიტეტია და მეამაყება, რომ ის ამ მყვირალა ადამიანებს არ უყვართ. ეს არის ადამიანი, რომელიც ჩემი და სხვა თანამებრძოლების მონაწილეობით აკეთებს ყველაფერს იმისთვის, რომ ეს უბედურება უკან არ დაბრუნდეს – ჟორიკ რურუები და სხვა, კიდევ საბჭოთა მენტალიტეტის მქონე „ბომბონიერში“ გამოზრდილი ვითომ მეცნიერები. ამიტომ, რაც იქნება პრემიერის გადაწყვეტილება, ის იქნება; მაგრამ მინდა, მათ იმედი გავუცრუო, რომ ჩემი გათავისუფლების საკითხი ამ წუთში განხილვაში არ დგას“, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

თევზაძე თუ კალანდარიშვილი?!

საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, პრეზიდენტმა ცესკოს თავმჯდომარეობის კანდიდატები წარადგინა. სალომე ზურაბიშვილმა საკანონმდებლო ორგანოს მის მიერ შერჩეული ორი კანდიდატი შესთავაზა. ესენია: გიორგი კალანდარიშვილი და თენგიზ თევზაძე.

გიორგი კალანდარიშვილის თქმით, იგი შეეცდება, საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები დაარწმუნოს, რომ ცესკოს თავმჯდომარის პოსტზე ყოფნის შესაძლებლობა კიდევ ერთხელ მისცენ. ამ მიზნით იგი აპირებს დეპუტატებს საკუთარი ხედვა და გეგმები წარუდგინოს.

„ჩატარებული არჩევნები დიდ იმედს მიქმნის იმისთვის, რომ ჩემი კანდიდატურა საკანონმდებლო ორგანოში მხარდაჭერილი იქნება“, – განაცხადა კალანდარიშვილმა.

თავის მხრივ, ცესკოს თავმჯდომარეობის მეორე კანდიდატი თენგიზ თევზაძე აცხადებს, რომ საკანონმდებლო ორგანოს ცესკოში განსახორციელებელ რეფორმებს შესთავაზებს. თევზაძე მიიჩნევს, რომ აღნიშნული საჭიროა, რათა საარჩევნო ადმინისტრაციას ნდობა დაუბრუნდეს.

„აუცილებელია შეირჩეს პოლიტიკურად ნეიტრალური კანდიდატი და პოლიტიკურ პარტიებს შორის ნდობა დაბრუნდეს. მე ყველა პოლიტიკურ პარტიასთან გავმართავ შეხვედრებს და ავუხსნი იმ მნიშვნელოვან რეფორმებს, რომელიც ჩემი თავმჯდომარეობის შემთხვევაში განხორციელდება“, – აღნიშნა თევზაძემ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და წევრების ასარჩევად 100 დეპუტატის მხარდაჭერაა საჭირო. იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატი ხმების საკმარის რაოდენობას ვერ მიიღებს, მეორე კენჭისყრა ჩატარდება, სადაც აუცილებელი მხოლოდ 76 კანონმდებლის მხარდაჭერა იქნება. ამ შემთხვევაში კანდიდატები თანამდებობებზე 6 თვის ვადით დაინიშნებიან.

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამები უწყვეტად ხორციელდება

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის განცხადებით, უსაფუძვლოა ბოლო დროს არაერთხელ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამები შეჩერდა.

მათივე ცნობით, აღნიშნული პროგრამები უწყვეტად ხორციელდება.

„2013 წლიდან დღემდე, უწყებათაშორისი სამთავრობო კომისიის არც ერთ სხდომას არასდროს უმსჯელია გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამების შეჩერებაზე და არსებული პროგრამები ხორციელდება უწყვეტად. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის 2021 წლის 22 დეკემბერის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისთვის ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება გაგრძელდეს.

კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისა და ადგილობრივი თვითმართველობების ინტენსიური სამუშაო პროცესის ფარგლებში მიმდინარეობდა სტანდარტული პროცედურული ნაწილი მუნიციპალიტეტების მიერ პროგრამის ბენეფიციართა სიების დაზუსტებასთან დაკავშირებით, მიმდინარე წლის მდგომარეობით. სამუშაო პროცესი დასრულდა და კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის განკარგულებით შესაბამის სახელმწიფო უწყებებს დაევალათ გადაწყვეტილების აღსრულება. მომდევნო კვირაში უკვე დაიწყება გამყოფი ხაზის სოფლებში მცხოვრები მოსახლეობისთვის ვაუჩერების გაცემის პროცესი. კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, იმ სოფლებში, სადაც ოჯახები დარეგისტრირებულები არიან ბუნებრივი აირის აბონენტებად, თანხა გამოიყო რეგისტრირებულ აბონენტებზე, ხოლო იმ სოფლებში, სადაც გაზიფიცირება ჯერ არ დასრულებულა – გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელში მცხოვრები ოჯახის ერთ-ერთ წევრზე“, – ნათქვამია სახელმწიფო მინისტრის აპარატის განცხადებაში.

ევროკავშირი საქართველოს სატრანსპორტო სექტორში 3 მილიარდ 417 მილიონი ევროს ღირებულების 18 პროექტს განახორციელებს

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნებში დაკავშირებულობის და ეკონომიკური ზრდის სტიმულირების მიზნით, ევროპის კომისიამ და მსოფლიო ბანკმა ერთობლივად შეიმუშავეს „ტრანს-ევროპულ სატრანსპორტო ქსელში (TEN-T) საორიენტაციო კაპიტალდაბანდებების განხორციელების პროგრამა“, რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტული პროექტების რეალიზაცია აზერბაიჯანში, ბელარუსში, მოლდოვაში, საქართველოში, სომხეთსა და უკრაინაში.

პროექტების განხორციელება 2030 წლამდე ერთობლიობაში დაჯდება 12.8 მილიარდი ევრო და გათვალისწინებულია მთლიანობაში 4800 კმ სიგრძის საავტომობილო და სარკინიგზო ხაზების, 6 პორტის, და 11 ლოგისტიკური ცენტრის მშენებლობა-მოდერნიზაცია.

ინფრასტრუქტურულ პროექტებში ინვესტიციების განხორციელების გარდა, წარმოდგენილი საინვესტიციო პროგრამა ითვალისწინებს ფუნდამენტური რეფორმების განხორციელებას სატრანსპორტო სექტორში და უსაფრთხოების უზრუველყოფის დონის ამაღლებას რეგიონის საავტომობილო გზებზე.

პროგრამის თანახმად, ევროპის კავშირი საქართველოს სატრანსპორტო სექტორში 2030 წლამდე განახორციელებს 3 მილიარდ 417 მილიონი ევროს ღირებულების 18 პროექტს:

საავტომობილო ტრანსპორტი – 10 პროექტი, 2 087 მილიონი ევრო;

სარკინიგზო ტრანსპორტი – 2 პროექტი, 349 მილიონი ევრო;

საავიაციო ტრანსპორტი – 1 პროექტი, 63 მილიონი ევრო;

საზღვაო ტრანსპორტში – 2 პროექტი, 767 მილიონი ევრო;

ლოგისტიკური ცენტრი – 144 მილიონი ევრო;

ერთი სასაზღვრო-გამშვები პუნქტი – 6 მილიონი ევრო.

„ტრანს-ევროპულ სატრანსპორტო ქსელში (TEN-T) საორიენტაციო კაპიტალდაბანდებების განხორციელების პროგრამის“ შესრულება წარმოადგენს ერთობლივ ვალდებულებას, რათა მივალწიოთ საგრძნობ შედეგებს რეგიონში მცხოვრები მოქალაქეებისათვის. პროგრამა დაეხმარება გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში სტრატეგიული ინვესტიციების განხორციელების პრიორიტეტულობის განსაზღვრაში, რათა გაფართოვდეს ტრანს-ევროპული სატრანსპორტო ქსელი (TEN-T network)...“, – განაცხადა ევროპის კავშირის გაფართოების და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროპის კომისარმა იოჰანეს ჰანმა.

საინვესტიციო პროგრამაში შეტანილი პროექტები განისაზღვრა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან ერთად და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერით. ინვესტიციების განხორციელების პრიორიტეტულობა ეხება როგორც მოკლევადიან პროექტებს, რომლებიც 2020 წლისათვის უნდა დასრულდეს, ისე გრძელვადიან პროექტებსაც, რომელთა მიზანია სატრანსპორტო კავშირების გაუმჯობესება TEN-T-ქსელის ფარგლებში 2030 წლისათვის.

ბელა გელაშვილი

ᲠᲐᲛᲐᲖ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ:

ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐᲛ ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲐᲪ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲡ, ᲡᲐᲓ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ!

ᲕᲘᲡᲬᲐᲕᲚᲝᲗ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ, ᲡᲐᲥᲕᲔᲧᲜᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲙᲔᲗᲔᲑᲐ!

ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐᲡ �პᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲐᲕᲔᲜ „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ“ �პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲝᲠ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲨᲘ - ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲘᲡᲐᲨᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲓᲐ. ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲗᲐᲜ �პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲘᲗ, ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ �პᲐᲠᲢᲘᲐ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲬᲔᲕᲠᲘ ᲙᲝᲠᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲚᲘᲐ ᲒᲐᲮᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲛᲮᲐᲠᲘ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲛ ᲓᲐᲣᲭᲘᲠᲐ. ᲙᲔᲜᲭᲘᲡᲧᲠᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲣᲦᲘᲐᲗ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲡ. ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲡ 24 ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ ᲔᲡᲬᲠᲔᲑᲝᲓᲐ.

ᲡᲐᲓ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐᲡ ᲒᲖᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝᲐ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘ? ᲐᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ for.ge ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲚᲝᲒ ᲠᲐᲛᲐᲖ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔᲡ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ.

— „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ“ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ, ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲙᲝᲠᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲚᲘᲐ ᲒᲐᲮᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲫᲐᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐᲨᲘ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ. ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐᲡ �პᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲐᲕᲔᲜ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲡ „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ“, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲘᲐ ᲐᲠᲐᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ, ᲘᲒᲘᲕᲔ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣᲨᲘᲪ. ᲠᲝᲒᲝᲠ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ, ᲠᲐ ᲗᲐᲛᲐᲨᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲡ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲠᲐ ᲛᲘᲖᲜᲘ ᲐᲥᲕᲡ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ“ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲨᲘ ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ ᲘᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ — ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ?

ᲠᲐᲛᲐᲖ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ: როდესაც პირველად გაჩნდა ეს საკითხი, მაშინ გახარიას მხარემ თქვა, რომ რაღაც საკითხებში ყველასთან ვითანამშრომლებთო. ეს ნიშნავს, რომ არა ზოგადი პოლიტიკური თანამშრომლობა აქვთ მხედველობაში, მათ შორის არის საკრებულოს თავმჯდომარის თემაც. ამის მიუხედავად, ასეთი პასუხი არ მიჩენს იმის განცდას, რომ გახარიამ იცის, რა უნდა და საით მიდის.

— როგორ ფიქრობთ, რა უნდა და სად მიდის გახარია დღეს?

— მგონია, რომ თვითონაც არ იცის სად მიდის და რა უნდა. მგონია, რომ მისთვისაც ბუნდოვანია, იმიტომ რომ გახარიასთვის საუკეთესო ვარიანტი და კოზირი იყო მესამე პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბება და მაგ კოზირს თუკი დაახურდავებს რაღაცებში, დაკარგავს იმის საშუალებას, რომ ადამიანებისთვის მესამე ძალად იყოს გაცნობიერებული. თან, რაც მთავარია, გახარია, პარტიის შექმნის დღიდან პარტნიორობის ნაბიჯებს დგამს ნაციონალების მიმართულებით.

გასაგებია, თავად გახარია ხაზგასმით ამბობს, — არც ერთი და არც მეორეო, მაგრამ ფაქტია, რომ ნაციონალების მიმართულებით იდგმება ბევრი ნაბიჯი, დაწყებული ნაციონალური ორიენტაციის ჟურნალისტებთან ურთიერთობით, დამთავრებული აი, ამ ბოლო მოვლენებით, რაც წყალს ასხამს კობახიძის წისქვილზე, რომელმაც განაცხადა, რომ გახარია ნაციონალების ფიგურა არისო. მე, პირადად ამის არც მაშინ მჯეროდა და არც ახლა. რაში სჭირდება გახარიას იყოს ნაციონალების ფიგურა, კაცი პრემიერ-მინისტრი იყო! სულ რომ გაიმარჯვონ ნაციონალებმა პრემიერობაზე მეტი რა უნდა მისცენ? ამიტომ, მიჭირს რამე ლოგიკაში ჩავსვა გახარიას სვლები და კარგად არ მესმის, რას აკეთებს და რა პოლიტიკურ ხაზს მისდევს. ვიმეორებ, მას ჰქონდა შანსი მესამე ძალის ხაზი ჩამოეყალიბებინა, მაგრამ ამას არ აკეთებს. საერთოდ რა შეიძლება უნდოდეს, ესეც გაუგებარია.

— გახარია ნაციონალების ფიგურა არ არის! — არ ეთანხმებით კობახიძის ფორმულას, მაგრამ გახარია, რომელიც რეგიონებიდან იწყებს პოზიციების გამყარებას, შეიძლება რუსული თამაშის წესით მოქმედებს, ანუ რუსული ფიგურა უფრო იყოს, ვიდრე ქართული? მით უმეტეს, რომ გახარიას წარსული პირდაპირ რუსეთთან არის კავშირში...

— ცოტა ადამიანი დარჩა საქართველოში, ვისზედაც არ ეთქვათ რუსულ ინტერესებს იცავსო და ბუნებრივია, რომ ეს თემა გაჩნდა გახარიას ნაწილში იმიტომ რომ ბევრი რამ აკავშირებდა რუსეთთან. „ნაციონალური მოძრაობა“ და რუსული ხაზი — არ არის გამორიცხული, რომ ეს ვერსიები ერთმანეთს გამორიცხავდნენ. გვისაუბრია ჩვენ ამ საკითხზე, რომ „ნაციმოძრაობაზეც“ არის ეჭვი, რომ რამდენჯერმე გაატარა რუსული პოლიტიკა.

კობა ნაყოფია — რუსეთის მოქალაქე Ჰყავთ პარტიის თავმჯდომარედ, ესეც ხაზსს უსვამს, რომ ნაციონალებს რუსეთთან თავისებური ურთიერთობა აქვთ. ან რუსეთი — ან „ნაციონალური მოძრაობა“ კი არა, რუსეთი და „ნაციონალური მოძრაობა“ შეიძლება ერთი მოვლენა იყოს. მაგრამ, სიმართლე რომ გითხრათ, გახარიას შემთხვევაში მასეთ ხაზსაც მკაფიოდ ვერ ვხედავ იმიტომ, რომ რუსეთის ხაზი ნამდვილი რომ იყოს, მაშინ გახარიასთვის მომგებიანი იქნებოდა ის, რასაც აკეთებს და აკეთებდა სააკაშვილი.

აძაგებდა რუსეთს და საქმე-საქმეზე რომ მიდიოდა, ისეთ ნაბიჯებს დგამდა, რომელიც რუსეთის ინტერესებში შედიოდა. მაგალითად, — სტრატეგიული ობიექტების პრივატიზაცია. ანალოგიური რამ შეეძლო გახარიასაც გაეკეთებინა — მოეპოვებინა ავტორიტეტი, რადგან საწყისი ავტორიტეტი ძალიან დიდი ჰქონდა საზოგადოებაში და მერე გადაედგა ისეთი ნაბიჯები, რაც რუსეთს სურდა. ამ მხრივაც გაუგებარია მისი საქციელი. ანუ, რუსული ვერსიითაც ლოგიკა ვერ ეწყობა.

— მაშინ, ვინ არის გახარია? სოზარ სუბარის განცხადებით „ნაციონალური მოძრაობა“ და გახარიას პარტია ერთად ცდილობენ დააზიანონ სახელმწიფო ადგილობრივ მუნიციპალიტეტში, ხელოვნურად შექმნან კრიზისი და იმოქმედონ სახელმწიფოს და ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ. ვნახეთ, როგორი კრიზისი შეიქმნა ჯერ ჩხოროწყუში, ახლა წალენჯიხაში და კორნელი სალიას ფიგურის შემოყვანაც ამის დასტურია. ოპოზიციაში გადასული გახარია დღემდე „ნაციონალური მოძრაობის“ თამაშის წესით მოქმედებს, რის გამოც იმდენად დისკრედიტირებულია, მესამე პოლიტიკური ძალა მისგან ვერ შეიქმნება და მაშინ ვინ არის და ვის თამაშს თამაშობს იგი?

— ადამიანები უფრო მეტად გახარიას მხარს უჭერდნენ იმიტომ, რომ დისტანცირებული იყო ნაციონალებთან და არა იმიტომ, რომ უპირისპირდებოდა „ქართულ ოცნებას“. ახლა, წესით, ეს ხალხი იმედგაცრუებული უნდა იყოს. გეთანხმებით, რომ გახარია „ნაციონალური მოძრაობის“ ხაზს ატარებს. ეს ხაზგასმა რაში სჭირდება, სრულიად გაუგებარია, მით უმეტეს ეს პარტია თავისი სტილითაც არ არის „ნაციონალური მოძრაობის“ მსგავსი.

ანუ, რაც სოზარ სუბარმა აღნიშნა — დესტრუქციულობა — არ ცდილობს ამ დესტრუქციულობას, არ აქვს საპროტესტო აქციებში ჩართვის ტენდენცია და ა.შ. ანუ, სახელმწიფოში არეულობის მოწყობა თითქოს არ უნდა, მაგრამ დალაგებულ ნაბიჯებას არ დგამს. ამიტომ ვამბობ, რომ გაუგებარია, რა უნდა გახარიას. გასაგებია „ნაციონალური მოძრაობის“ პოზიცია, მოქმედების სტილი და გეგმა. ბევრი მინუსი იძებნება ყველა თვალსაზრისით, ამიტომაც არის, რომ წარმატება ვერ მოიპოვა აქამდე „ნაცმოძრაობამ“, მაგრამ გახარიას შემთხვევაში საერთოდ არასწორ სტრატეგიას ვხედავთ. ამიტომ, ჯერჯერობით, რაღაც გაუგებარი ორგანიზაციის, გაუგებარი პოლიტიკური სტილის ჯგუფის შთაბეჭდილებას ტოვებს.

— ჩხოროწყუ და წალენჯიხა — ჯერჯერობით ამ რეგიონში მყარი პოზიცია აქვს ოპოზიციას. ეს ორი რაიონი და ეს, ასე ვთქვათ, ორხელისუფლებიანობა რამდენად პრობლემური შეიძლება აღმოჩნდეს ხელისუფლებისთვის? ამის ფონზე ძალიან საინტერესოდ და სახიფათოდ ვითარება მოვლენები სამეგრელოში, როდესაც ადამიანების რაღაც ჯგუფი გამოდის მოთხოვნით, რომ სკოლებში უნდა შემოიტანონ მეგრული ენა და რომ მეგრულ ენაზე უნდა შეიქმნას სასკოლო სახელმძღვანელოები. ეს მოვლენა შეიძლება რაიმე კავშირში იყოს ოპოზიციურ გარიგებასთან?

— არ არის გამორიცხული. შეიძლება ჩანაფიქრიც არ იყოს ერთმანეთთან დაკავშირებული, მაგრამ, თუკი რომელიმე პროცესმა მოიკიდა ფეხი, მერე უკვე სხვა პროცესები იმას ეწებება, ან იყენებენ პოლიტიკური ჯგუფები. ასე რომ, რა მიმართულებით წავა ეს პროცესები, ძნელი სათქმელია. თუ თავისუფლად განვითარდა მოვლენები, ასეთ შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, რომ ისინი ერთმანეთს დაუკავშირდნენ, რომც არ იყვნენ აქამდე დაკავშირებული.

რაც შეეხება სეპარატისტულ ტენდენციას, ძალიან ხშირად გახდა კრიტიკის საფუძველი და ამიტომ მეეჭვება, რომ ხელახლა ფეხი მოიკიდოს ამ მოვლენამ. რაც შეეხება ორხელისუფლებიანობის ნიშნებს, შეიძლება იყოს და ბევრი რამე დამოკიდებულია იმაზე, თვითონ ხელისუფლება როგორ მოიქცევა და იქნება თუ არა ასეთი მკვეთრი დაპირისპირება იმ ოპოზიციურ ფიგურებთან, რომლებიც ხელმძღვანელობენ საკრებულოებს.

ᲤᲐᲥᲢᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲧᲝᲕᲔᲚᲡᲐᲛᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲡᲬᲐᲕᲚᲝᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ. ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲮᲔᲚᲡ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲣᲤᲚᲘᲓᲜᲔᲜ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲫᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲘᲖᲐᲠᲐᲚᲔᲑᲡ. ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲡᲬᲐᲕᲚᲝᲗ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲙᲔᲗᲔᲑᲐ. ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲐᲡᲔ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲘᲓᲘ ᲠᲝᲚᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ.

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ
ᲗᲐᲛᲗᲐ ᲥᲐᲠᲩᲐᲕᲐ

ᲭᲣᲭᲐᲕᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲓᲔᲖᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲡ...

ᲛᲝᲕᲣᲬᲝᲓᲔᲑᲗ „ᲢᲕ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲡ“, ᲨᲔᲐᲡᲬᲝᲠᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲛᲝᲬᲛᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ“, — ნათქვამია ოზურგეთის მერიის მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებულ განცხადებაში. ოზურგეთის მერია „ტვ პირველს“ „ნაციონალური მოძრაობასთან“ ერთად ორკესტრირებულ დეზინფორმაციულ კამპანიაში ადანაშაულებს, რომელიც ბაღების თანამშრომლების ხელფასებს უკავშირდება.

„ბოლო 2 დღის განმავლობაში საზოგადოება ოზურგეთში თვალს ადევნებს „ნაციონალური მოძრაობის“ და „ტვ პირველის“ ორკესტრირებულ კამპანიასა და პოლიტიკურ სპეკულაციებს ბაღების თანამშრომლების ხელფასებთან დაკავშირებით. დასახელებული რიცხვები მინიმალურ ხელფასთან დაკავშირებით, ბრალდებები თანამშრომლების მასიური გათავისუფლების შესახებ, გადაუმოწმებელი ცნობებია და გასლავთ სრული სიცრუე.

სიმართლე გასლავთ შემდეგი: ბაღების თანამშრომლებს 2022 წლის 1 ივნისიდან ხელფასები 20%-ით გაეზრდებათ — ამის შესახებ, ოზურგეთის მერმა ავთანდილ თალაკვაძემ საკრებულოს ჯერ კიდევ, წინა წლის 28 დეკემბერს მიმართა და საკრებულოს უმრავლესობამ აღნიშნულს მხარი დაუჭირა.

ბიუჯეტის პროექტს, რომელშიც ბაღის თანამშრომლებისთვის ხელფასების ზრდა იყო ასახული, საკრებულოს სხდომაზე მხარი არ დაუჭირეს „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა. „ტვ პირველის“ მხრიდან გავრცელებული ცნობა, თითქოს, ბაღის აღმზრდელის ხელფასი 150 ლარს შეადგენს, გასლავთ დეზინფორმაცია.

სინამდვილეში, ხელფასები რომელიც დაგვხვდა წინა ადმინისტრაციისგან, პირველი ცვლის შემთხვევაში 450 ლარს, მეორე ცვლის კი 370 ლარს შეადგენს, ძიძის ანაზღაურება 410 ლარია. ბაღებიდან თანამშრომლების მასიური გათავისუფლება არ მომხდარა და არც იგეგმება. მოვუწოდებთ „ტვ პირველს“, შეასწოროს გადაუმოწმებლად გავრცელებული ინფორმაცია“, — ნათქვამია ოზურგეთის მერიის განცხადებაში.

სეჯიუღი მოძალადე

რადოსლავ სიკორსკი: „არ ვაპირებთ, რუსეთის ვასალები გავხდეთ“!..

ლავროვის განცხადების პასუხად გამოქვეყნებულმა ამ აღშფოთებამ, დიდი ალბათობით, სულ მცირე, აღმოსავლეთ ევროპის ყველა გამოცემა მოიარა. მით უმეტეს, რომ ავტორი რადოსლავ სიკორსკია, დღეს ევროპარლამენტარი, თავის დროზე პოლონეთის ჯერ თავდაცვის, შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრი და სეიმის თავმჯდომარე.

სიკორსკი არასოდეს ერიდებოდა კრემლზე საკუთარი აზრის მიკიბ-მოკიბვის გარეშე გამოთქმას და, შეიძლება ითქვას, ტრადიციას არც „რადიო თავისუფლებასთან“ ინტერვიუში უღალატა. პოლონელ ევროპარლამენტარს პუტინზე, უკრაინაში ომის საფრთხეზე, დასავლეთის სავარაუდო პასუხსა და ერთიანი ევროპული ფრონტის ალბათობაზე ვაჟა თავბერიძე პრაღიდან ესაუბრა.

„ერთხელ და სამუდამოდ შეიგნეთ, იმ ენით, რა ენაც გესმით - უთქვენოდ არ დავობლებულვართ, ჩვენი „მამიკო“ კი არა, სერიული მოძალადე იყავით. ამიტომ არ გვენატრებით. თუ ისევ ეცდებით, კვერცხებში ამოგცხებთ“!..

– თქვენი სუპერპოპულარული ტვიტით დავიწყოთ, სადაც რუსეთს მოძალადე მშობელს უწოდებთ და „კვერცხებში ამორტყმით“ ემუქრებით. თუ ამ ფრაზას უბრალოდ პოლიტიკურ ბრავადად არ ჩავთვლით, მაშინ მითხარით, როგორ აპირებთ რუსეთისთვის „ამორტყმას“, მნიშვნელობა არ აქვს, პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით.

– რუსეთს ვერ გადაუწყვეტია, მჩაგვრელია თუ მსხვერპლი. შიდა აუდიტორიასთან თავი მოაქვს, როგორც აგრესიის მარადიულ მსხვერპლს, რომელსაც ჯერ ნაპოლეონი ესხმოდა თავს, მერე ჰიტლერი, და ახლა დემოკრატიული დასავლეთი. ისტორიას გადავხედოთ – მეთხუთმეტე საუკუნეში რუსეთი ერთი მცირე სამთავრო იყო, დღეს კი მსოფლიოს უდიდეს ქვეყნად იქცა, და არა თავდაცვითი პოლიტიკით, არამედ მეზობლების მიწების გამუდმებული მიტაცებით. ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ მეზობლები რუსებს აგრესორად აღიქვამენ და არა მსხვერპლად? რაც შეეხება იმას, თუ რას ვუპირებთ რუსეთს: ამაზე მთელ ატლანტიკურ სივრცეში ინტენსიური დიალოგი მიმდინარეობს. უკრაინას უკვე ვაწვდით შეიარაღებას, კიდევ მეტს მივაწვდით, თუ რუსეთი შეიჭრება. თუ რუსეთი ნატოს აღმოსავლეთ ფლანგზე თავდასხმას გადაწყვეტს, ამით ნატო არ დასუსტდება, რისი იმედიც პუტინს აქვს – ამის საპირისპირო მოხდება, ნატოს უფრო გავაძლიერებთ. იქნება მძიმე ეკონომიკური სანქციები. ჩვენ ვიცით, რომ რუსეთს აქვს ოქროს მარაგი, ვალუტის რეზერვები, რომ მოსკოვმა დასავლეთის რიგი ქვეყნები რუსულ გაზზე დამოკიდებული გახადა, მაგრამ ისიც გავიხსენოთ, რომ ევროკავშირი და შტატები, ერთად აღებული, 18-ჯერ უფრო მდიდარია, ვიდრე რუსეთი. ამიტომ მგონია, რომ პუტინი დიდ შეცდომას უშვებს.

ბრიტანელებს აქვთ გამოთქმა, რვა წლის შემდეგ ყველა პრემიერ-მინისტრი გიჟდებაო. პრეზიდენტი პუტინი 22 წელიწადია, ხელისუფლებაშია. შეიძლება, უკვე თვითონაც სჯერა იმ თავისი პროპაგანდის, როგორიცაა, მაგალითად, მისი მანიფესტი უკრაინის დანაწილების შესახებ, რომელიც ამ ზაფხულს გამოაქვეყნა. მაგრამ უკრაინელები რუსები არ არიან – ისინი წინააღმდეგობას გაწევენ და დასავლეთი მათ გვერდში დაუდგება.

– თქვენი ერთი ციტატა მინდა გავიხსენო – „პუტინი „ბანქოს“ თაღლითი მოთამაშეა, რომელსაც იღბალი აღარ სწყალობს“. ეს 2015 წელს თქვით, მას შემდეგ 7 წელი გავიდა – როგორ მოხდა, რომ პუტინი ისევ თამაშშია?

– ვფიქრობ, ყირიმის საკითხში იმიტომ დარჩა გამარჯვებული, რომ არავინ შეებრძოლა. ლიბიასა და სირიაშიც ჩვენი შეცდომები გამოიყენა. მაგრამ ამ ყველაფერს თავისი ფასი აქვს. თუ შეამჩნიეთ, პრეზიდენტ პუტინისა და მისი განცხადებების საერთოდ აღარავის სჯერა. თავის დროზე, როდესაც ირწმუნებოდა, რომ ყირიმში ჯარები არ ჰყავდა, ზოგი გაბრიყვდა და მართლაც დაიჯერა ეს. როცა თქვა, რომ რუსები დონბასში არ იყვნენ, ხალხი უკვე დაეჭვდა. მაგრამ ახლა უკვე ხელში გვიჭირავს სასამართლოს მტკიცებულებები, რომ სწორედ რუსებმა ჩამოაგდეს MH 17 ბოინგი. ასე რომ, დასავლელ ლიდერებს დამატებითი თავსატეხი აქვთ – პუტინთან მორიგება კი უნდათ, მაგრამ მან უკვე ყველას და ყველანაირი ნდობა დაკარგა.

– რუსეთის ე.წ. უსაფრთხოების მოთხოვნებზე რას იტყოდით? რატომ იფიქრეს კრემლში, რომ დასავლეთი ამაზე წავიდოდა?

– ვიტყოდი, რომ რუსეთს გარკვეული რაციონალური მოთხოვნებიც ჰქონდა, მაგალითად, შეთანხმება იმაზე, რომ ტაქტიკური ბირთვული შეიარაღება საზღვრებთან არ უნდა განთავსდეს - ეს კარგი იდეაა და ნამდვილად შეუწყობდა ხელს მხარეებს შორის ნდობის აღდგენას. მაგრამ მოთხოვნა, რომ რუსეთმა გადაგვიწყვიტოს, ვის როგორი ურთიერთობა ექნება ნატოსთან, ამ ულტიმატუმს ვერანაირად ვერ დავეთანხმებით, რადგან არ ვაპირებთ, რუსეთის ვასალებად ვიქცეთ. პუტინს საკმაოდ საზრიანი ხალხი ჰყავს გარშემო, ასე რომ, ვფიქრობ, თვითონაც იცოდნენ, რომ ამაზე არავინ დაეთანხმებოდათ... ეს კი იმას მოასწავებს, რომ უბრალოდ საბაბს ეძებენ ომის გასაჩაღებლად.

– დავუშვათ, თქვენი შიში გამართლდა – როგორ განვითარდება მოვლენები?

– ერთი, რომ ყველაფერი ისე არ მიდის, როგორც რუსები იმედოვნებდნენ – მათ სტრატეგიული სიურპრიზის ელემენტი დაკარგეს. მეორე – კაზუს ბელის გარდა, რუსეთისმაგვარი რეჟიმები, როგორც წესი, რაიმე პროვოკაციას ეძებენ, რომელსაც ხშირად თვითონ აწყობენ და მერე თვითონვე „რეაგირებენ“. როგორც, მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც ნაცისტური გერმანია პოლონეთში „თავდაცვის მიზნით“ შემოიჭრა, მას შემდეგ, რაც თითქოსდა პოლონეთმა გერმანული რადიოსადგური „დაისაკუთრა“. ამჯერად რუსეთმა შეიძლება „აღმოაჩინოს“, რომ დონბასის რუს მოსახლეობას ქიმიური იარაღით დაესხნენ თავს, შემდეგ კიდევ რაღაც მსგავსი თავდასხმა „მოხდება“, რომლის შედეგადაც რუსეთის მოქალაქეები დაიღუპებიან... მაგრამ საქმე ისაა, რომ შტატებმა უკვე გააფრთხილა მსოფლიოც და უკრაინაც, რომ რუსები მსგავს მაქინაციას აწყობენ, რაც ნიშნავს, რომ კრემლმა ინფორმაციულ სივრცეზე ერთპიროვნული კონტროლი დაკარგა. ეს არ იქნება ისეთი ომი, როგორიც რუსეთს ჰქონდა, მაგალითად, საქართველოსთან.

– არის ასეთი არგუმენტიც – პოკერის ტერმინები რომ გამოვიყენოთ: პუტინი ყველაფერს ჩამოვიდა, ბლეფს მიუხვდნენ და ახლა სხვა გზა არ აქვს და ბოლომდე უნდა ითამაშოს, რათა არ შერცხვეს...

– კი ბატონო. მაგრამ თუ ის სუიციდით გვემუქრება, ეს ჩვენ არ გვავალდებულებს, ამაში ხელი შევუშალოთ და დათმობებზე წავიდეთ. დიახ, დიპლომატიურად ვიტყოდი, რომ რუსეთის შესაკავებლად საუკეთესო გზაა იმის დემონსტრირება, რომ უკრაინაში შეჭრა მას ძვირად დაუჯდება. კულტურაში მიღებულია ოპონენტისთვის ღირსეულად უკან დასახევი გზის დატოვება. მაგრამ ისიც გავიხსენოთ, რომ რუსეთი ავტორიტარული ქვეყანაა, რომელიც დასავლეთის დიპლომატიური პრინციპებით არ ხელმძღვანელობს. მან თავად ჩაიგდო თავი მსგავს სიტუაციაში, შესაბამისად, გამოსავალიც თვითონვე უნდა იპოვოს.

– დასავლეთის მუქარა, რომ რუსეთს „უპრეცედენტო სანქციები“ დაატყდება თავს, სიტუაციის ესკალაცია თუ მოხდება – რეალურად რა ბერკეტები აქვს დასავლეთს რუსეთის შესაჩერებლად?

– მე პირადად ვფიქრობ, რომ პრეზიდენტ პუტინისა და მისი ოლიგარქების ფული უნდა ამოვიღოთ სამიზნეში. ეს ის ენაა, რომელიც მათ ესმით – ფულს რუსეთში იპარავენ, მაგრამ საფრანგეთსა და შვეიცარიაში უყვართ დახარჯვა. ასე რომ, ბევრად უფრო მკაცრად უნდა დავიწყოთ რუსეთიდან მომდინარე უკანონო ფულის ნაკადების კონტროლი. თავი უნდა დავიცვათ რუსული გაზით შანტაჟისგანაც – ევროკავშირის ეგიდის ქვეშ უნდა შეიქმნას „გაზის კავშირი“, რომლის მეშვეობითაც ევროპული კომისია შეიძენს გაზს, როგორც ერთი დიდი კლიენტი, და შემდეგ გადაანაწილებს წევრ ქვეყნებზე. ურანზე უკვე ვიქცევით ასე, შესაბამისად, პრეცედენტი არსებობს. ფასებიც ბევრად უფრო მისაღები გახდება.

– და როგორ გგონიათ, ბერლინი რას იტყვის ამ ყველაფერზე?

– გერმანიის ახალი მთავრობა ჯერ კიდევ (რუსეთისთვის) ალღოს აღების ეტაპზეა. პოლონეთში გამოთქმა გვაქვს – ყველა დასავლელმა მთავრობამ რუსეთი ხელახლა უნდა გაიცნოსო. თავიდან ყველას სწამს, რომ სწორედ ისინი გამოდგებიან ყოჩაღები და რუსეთთან კუთუე-ს მიაღწევენ, თუ კარგად მოიქცევიან და პუტინს ვლადიმირ ვლადიმიროვიჩით მიმართავენ. და შემდეგ, თავისთავად ცხადია, რუსეთი რამე ისეთს იზამს, რაც მათ ჭკუას ასწავლის. ახლა გერმანელები სწორედ ამ გაკვეთილის სწავლის პროცესში არიან.

გერმანელები ეგოისტურად მოიქცნენ რუსეთთან საკუთარი გაზსადენების შექმნით – ისინი რუსული გაზის დისტრიბუციის ცენტრად იქცნენ, მაგრამ ახლა ხედავენ, რომ რუსეთი მათაც აშანტაჟებს. მოგეხსენებათ, ზამთარში მიწოდება შემცირდა, მათი საკუთარი მარაგები დაბალია, ფასები კი გაიზარდა. 15 წელია, ვაფრთხილებდით, რომ ასე მოხდებოდა – ახლა თავიანთი თვალით ხედავენ და იმედია, სწორ დასკვნებს გააკეთებენ.

– რა როლი აკისრია ევროკავშირს ყველაფერ ამაში? ჩვენ ვნახეთ, რომ მოლაპარაკებები მიმდინარეობდა აშშ-სა და რუსეთს შორის, ნატოსა და რუსეთს შორის, რუსეთსა და ეუთოს შორისაც კი, მაგრამ ევროკავშირი არსად ჩანდა.

– დასანანია, რადგან ლისაბონის ხელშეკრულება მკაფიოდ ამბობს, რომ ჩვენ საერთო საგარეო პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ, რადგან მაშინ უფრო ძლიერები ვიქნებით. მაგრამ რამდენიმე დიდმა წევრმა ქვეყანამ, მეტწილად საფრანგეთმა და გერმანიამ, არასწორი ნაბიჯები გადადგეს – ჯერ ნორმანდიის ფორმატი, შემდეგ მინსკის ჯგუფი, რომელშიც ევროკავშირი არ იყო წარმოდგენილი – შესაბამისად, აღმოვჩნდით ისეთ სიტუაციაში, როდესაც ევროკავშირი გარიყულია ამ მომენტისთვის ევროპის ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული საკითხიდან. ეს არასწორია. წევრი ქვეყნები ფრილანსერობას უნდა შეეშვან – შეათანხმონ საერთო პოლიტიკა საგარეო საქმეთა საბჭოში და შემდეგ უფლება მისცენ უმაღლეს წარმომადგენელს და საბჭოს პრეზიდენტს, ეს პოლიტიკა გაატარონ.

– თქვენი ქვეყანა ერთ-ერთი მთავარი მომხრეა უკრაინისთვის თავდაცვითი სამხედრო შეიარაღების მიწოდებისა. რას ეტყოდით თქვენს დასავლელ კოლეგებს, რათა მათაც მიბაძონ პოლონეთის მაგალითს?

– ვიტყოდი, რომ რუსეთის შესაკავებლად საუკეთესო გზაა იმის დემონსტრირება, რომ უკრაინაში შეჭრა მას ძვირად დაუჯდება. უკრაინისთვის იარაღის მიყიდვაზე აბსოლუტურად არანაირი შეზღუდვა არ არსებობს. უკრაინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დემოკრატიული წევრია და სრული უფლება აქვს, თავი დაიცვას – გემსაწინააღმდეგო, საჰაერო და ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღება კი საუკეთესო არგუმენტია პუტინის დასარწმუნებლად.

ვაჟა თავბერიძე

ვულოცავთ!

სიკეთის და სიყვარულის მომღერალი პოეტი

მახარებს შენი გამარჯვება

ჩემო მაყვალა!

ჩვენთვის, რუსთაველის პრემიის ლაურეატებისთვის, ეს წოდება, მოგეხსენება, ყველაზე უფრო წმინდა და ამაღლებულია. სწორედ რუსთაველის პრემიის ლაურეატებმა: ვაჟა აზარაშვილმა, რევაზ მიშველაძემ, ვახტანგ დავითაიამ, ფრიდონ სულაბერიძემ და მე, შევქმენით საინიციატივო ჯგუფი რუსთაველის პრემიაზე შენი შემოქმედების წარსადგენად და მხარდასაჭერად და დღეს საოცრად მახარებს შენი გამარჯვება.

გილოცავ ამ უმნიშვნელოვანეს ჯილდოს ბრწყინვალე პოეტს, არაჩვეულებრივ დედას, ქალბატონს, ქართველ ქალს, რომელსაც ასე გიყვარს სამშობლო და ასეთი რუდუნებით ემსახურები მას. შენი შემოქმედება დიდად არის გამსჭვალული ხალხისა და ქვეყნისადმი სიყვარულით.

დიდ პატივს გცემ არა მარტო როგორც პოეტს, არამედ როგორც ბრწყინვალე ქართველ ქალბატონს, მოღვაწეს, შენ რუსთაველის პოემის გმირი ქალებივით ყველა შესანიშნავი თვისებით ხარ შემკული.

მე შენ ჩემს უმცროს დად მიმაჩნიხარ.

სიკეთით სავსე ქალბატონი ბრძანდები, მუდამ მადლს რომ გასცემ, რაც ძალიან იშვიათია დღეს.

გამორჩეული ხარ ყველაფრით, მუდამ შენს გვერდით ვდგავარ. დიდ წარმატებებს და გამარჯვებებს გისურვებ მომავალშიც.

გივი თოიძე,
რუსთაველის პრემიის ლაურეატი

ეს ერთი და სხვა მრავალი...

ჩემო მაყვალა,

მე ერთი იმათგანი ვარ, ვისაც უყვარს შენი შემოქმედება და შენი მოღვაწეობის ფასიც კარგად იცის. და მაინც, შენს ნიჭიერებაზე სჯობს ლექსის კარგად მცოდნეებმა ილაპარაკონ. მე მინდა შენში იმ თვისებებს გავუსვა ხაზი, რასაც ქვეყნის სიყვარული ჰქვია, სიმართლისთვის ბრძოლა ჰქვია და რასაც რაღაც-რაღაცების შეწირვაც ჰქვია, რაც საკუთარ თავზეც ბევრჯერ გამოვცადე.

მახსენდება შენი ანთებული სახე სასამართლოებზე, მიტინგებზე თუ სხვადასხვა ღონისძიებებზე, იმ უსამართლობების წინააღმდეგ, რასაც მწერალთა სასახლის წართმევა ჰქვია. მახსენდება შენი თანადგომა.

ჩვენი, კომპოზიტორების წინააღმდეგ გამართული კამპანიის დროს, როდესაც სრულიად დაუსაბუთებლად ბორჯომის კომპოზიტორების სახლის წართმევას გვიპირებდნენ და ჩვენი თავგანწირული წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც მიისაკუთრეს.

რას ვიზამთ, „ძალა აღმართს ხნავსო“ - ნათქვამია. მაგრამ ისიც უთქვამთ: „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო“. ჰო, ასეა... დარჩება კარგი ლექსი, დარჩება კარგი მუსიკა, დარჩება ის ორი სიმღერაც, მე რომ დავწერე შენს ლექსებზე: „ოცნების ქალაქი“ და „თეთრი ნიუარა“, რომლებიც არაჩვეულებრივად შეასრულა ნორჩმა მომღერალმა გიორგი გონაშვილმა და კიდევ მრავალი ნიჭიერი ქართველი ქალბატონი გაიმეორებს: „საქართველოში ათგზის ძნელია, იყო პოეტი და იყო ქალი.“

გულით გილოცავ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიას.

ვაჟა აზარაშვილი,
კომპოზიტორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი

ღირსებით სავსე ქალბატონი

როცა მაყვალა გონაშვილს ვხედავ, ყოველთვის პოეტის სიტყვები მახსენდება: „სავსე ქართული პატიოსნებით“. მე კი ამ სიტყვებს დავამატებდი: ნიჭიერებითა და ღირსებით სავსე.

მაყვალა გონაშვილი ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი რჩეული წარმომადგენელია. ის უყვართ პოეზიის მოყვარულებს და ყველას, ვინც ნამდვილი ხელოვნების ფასი იცის. ვულოცავ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიას.

ფრიდონ სულაბერიძე,
რუსთაველის პრემიის ლაურეატი

„ვინ გაპატიებს, რომ ხარ კეთილი“

მაყვალა გონაშვილი ჩვენი თაობის ლიდერი იყო და საოცრად გამახარა, რომ ჩვენ თაობაში პირველმა მოიპოვა რუსთაველის სახელობის პრემია. ადრეც მითქვამს და მინდა გავიმეორო, რომ: ღვთის წყალობაა მაყვალა გონაშვილის ჩვენს შორის არსებობა. დავაპირე ფიქრის ფურცელზე გადატანა და უნებლიეთ შევკრთი. არის აზრები, რომლებიც აზრებშივეა სწორი, აქცევ სიტყვებად და

უკვე დანაშაულად აღიქმება. ადამიანის ძაგებას დიდი გასავალი აქვს ჩვენში: მოგისმენენ, გაგამხნევებენ და აგყვებიან კიდეც. ქებისა კი რა მოგახსენოთ. ეს ჩვეულებაც მხოლოდ ტრადიციულ ქართულ სუფრას შემორჩა, როგორც „წარსულის მავნე გადმონაშთი“. ამიტომაცაა, სადღეგრძელოში ნათქვამი სიტყვა კალმის წვერზე რომ ვერაფრით თავსდება, – ხან მელანი გვიშრება, ხანაც სისხლი.

მას ეძებენ. მასთან თავს კარგად გრძნობენ. მისი იმედიც აქვთ და, შურთ კიდეც მისი. დიდხანს მეგონა, რომ მისი ტკივილიანი სტრიქონი – „ვინ გაპატიებს, რომ ხარ კეთილი“, – ყველაზე ნაკლებად სწორედ ავტორს ეხებოდა.

რატომ?! საიდან?! ჩუმად კითხულობს მავანი, – რაშია მისი მომხიბვლელობის საიდუმლო?! მოგახსენებთ, – იგი სიყვარულის მასწავლებელია უპირველესად! იგი ამას ასწავლის შეუმჩნევლად, ძალდაუტანებლად; თითქოს შენთან ერთად სწავლობდეს საგანს, რომელიც დაბადებიდან ზეპირად იცის; რომელიც შენც მოგეცა უფლისგან, მაგრამ ამსოფლიურ სიბინძურესთან ბრძოლამ ლამის გადაგავიწყა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია - ჩვენი საზოგადოება ნეკროფილიითაა დაავადებული. ავტორიტეტი აუცილებლად მკვდარი უნდა იყოს, რომ შევიყვაროთ და დავაფასოთ. მტრისას, თუ მოძღვარი ცოცხალია, კიდევ უარესი – თუ ჩვენზე ახალგაზრდაა იგი.

არაერთხელ შევსწრებივარ უხერხულ სიტუაციას, იქ, სადაც ჩვენი პარნასელი კერპები უმწიფარი ბიჭებივით ჩაჭრილან, ჩემი დობილი, შეუპოვრად მდგარა საკუთარ სიმართლეს მინდობილი. გული მტკივა, რომ ბევრმა არცთუ კეთილად ისარგებლა მისი სიკეთით, ვწუხვარ, რომ სხვებზე გადაყოლილმა ბევრი დააკლო თავის თავსა და შემოქმედებას. ვერ ამიტანია, რომ ჩემს სამშობლოს სათანადოდ არ გამოუყენებია მისი, როგორც მოღვაწის ნიჭი. მიხარია, რომ ეს ნიჭიერებით, სილამაზით და სათნოებით გამორჩეული ქალბატონი უპირველეს ძმად და მეგობრად მთვლის. თუმცა ასეთ „უპირველესად“ არაერთს მიაჩნია თავი. ამ შემთხვევაში, მე სამადლობელის მეტი არაფერი მაქვს გასაყოფი მათთან.

მივესალმები მაყვალა გონაშვილის სიხარულსა და წარმატებას. იგი დაბადებიდან საკუთარი გზით მოდის, მარტოოდენ საკუთარი თავის ამარა. მისი ყოველი ლექსი, ყოველი ნაბიჯი მაცოცხლებელი სხივითაა გამთბარი, რომელიც ასე გვჭირდება ყველას.

ვახტანგ ღლონტი,
ილია ჭავჭავაძისა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატი

* * *

ქალბატონო მაყვალა!

გერმანიის მწერალთა გილდიის სახელით გილოცავთ ღირსეულ ჯილდოს.

ვიხსენებ მარტის თვეში ონლაინ სივრცეში ჩატარებულ თქვენს შემოქმედებით საღამოს, რომელსაც გერმანიაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში მცხოვრები მწერალი ქალბატონები ესწრებოდნენ. თვალწინ მიდგას, როგორი სიყვარულით კითხულობდნენ ისინი სხვადასხვა ენაზე თქვენი ლექსების თარგმანებს, როგორი გულისყურით უსმენდნენ თქვენს მიერ ქართულად წაკითხულ სტრიქონებს. ეს ნამდვილი პოეზიის დღესასწაული იყო.

გილოცავთ უმნიშვნელოვანეს ჯილდოს და გისურვებთ, მრავალი დღესასწაული იყოს თქვენს ცხოვრებაში.

მოისეი ბოროდა,
ქართული კულტურის დესპანი გერმანიაში

* * *

ქალბატონო მაყვალა, ისრაელში მცხოვრები შენი მეგობრები და კოლეგები გაგვახარა ცნობამ იმის შესახებ, რომ თქვენი მშვენიერი შემოქმედება და მოღვაწეობა დაფასდა და რუსთაველის სახელობის პრემიით დაჯილდოვდით.

გილოცავთ ამ უმაღლეს ჯილდოს და ვიმედოვნებთ, რომ გვეწვევით ისრაელში და თქვენს გამარჯვებას წმინდა მიწაზეც აღვნიშნავთ ისე, როგორც 2019 წელს თქვენი საიუბილეო საღამო.

გისურვებთ მრავალ წარმატებას.

რობერტ ადარი
ისრაელი, „გულთა კავშირის“ პრეზიდენტი

* * *

ჩემო მაყვალა!

გულითა და სულით გილოცავ რუსთაველის სახელობის პრემიას. მეც ისეთივე ბედნიერი ვარ ახლა, როგორც შენ, როცა სახელმწიფო პრემია მომანიჭეს „ვეფხისტყაოსნის“ აზერბაიჯანულად თარგმანისთვის. პირველი შენ იყავი, ვინც მომილოცა. ისიც მახსოვს, დედაჩემმა მითხრა: შვილო, მე ბაქოში რომ ვარ, გული იმიტომ მაქვს მშვიდად, თბილისში ნამდვილი დობილი – მაყვალა გონაშვილი გყავსო. ჩემთან ერთად, ამ დიდ პრემიას, გილოცავენ შენი კოლეგები – აზერბაიჯანელი მწერლები.

იმირ მამედლი,
აზერბაიჯანი. საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

როცა ლექსებში სხივი კიაფობს

ქალბატონ მაყვალას ვულოცავ რუსთაველის სახელობის პრემიას.

მისი პოეზია უყვარს უკრაინელ მკითხველს.

ცნობილი ფაქტია, რომ ხელმძღვანელის პოსტზე ხშირად კარგი ადმინისტრატორები და საშუალო პოეტები გვხვდებიან. მაყვალა გონაშვილი კი, უკვე წლებია, მწერალთა ორგანიზაციას ხელმძღვანელობს, ამიტომაც თავდაპირველად ცოტა გულგრილად დავიწყე ლექსთა გადაფურცვლა.

რაოდენ დიდი იყო ჩემი გაოცება, როცა რუსულად თარგმნილ პირველსავე ლექსში მივხვდი: ჩემს წინაშე აღმოჩენაა – ჩვენს დროში მეტად იშვიათი. ლექსების წაკითხვისას ისეთი განცდა მქონდა, თითქოს უეცრად სპეტაკი თოვლის საფარველიდან წითელმა კენკრამ მომჭრა თვალი.

ვკითხულობდი და ვკითხულობდი და ენით უთქმელ სიხარულს განვიცდიდი. მე არაერთ ნიჭიერ ხელოვანს ვიცნობ, მაგრამ მაყვალა გონაშვილის ლექსების წაკითხვისას სულ სხვა განცდა გეუფლება, აქ სულ სხვა მადლი და სიმაღლეა.

ჩვენ უკვე შევეჩვიეთ აზრს, რომ როგორც სხვა ყოველივე ჩვენს დროში, პოეტური სიდიადეც წარსულში დარჩა, წარსულს ჩაბარდა დიდი სახელებიც. აღარც პუშკინი, აღარც ლერმონტოვი, ვეღარ შეხვდები ჭეშმარიტ პოეზიას ჟურნალთა ფურცლებზე. მაყვალა გონაშვილი კი დიდ წინაპართა გზის გამგრძელებელია: მარინა ცვეტაევას, ანა ახმატოვას და ლესია უკრაინკას სადარი პოეტი. იმ გარდასულ დროთა წარმომადგენელი, როცა სამყარო არა კაცუნებით, არამედ დიადი პიროვნებებით იყო დასახლებული. რთულია მაყვალა გონაშვილის პოეტური სამყაროს თარგმანის ჩარჩოებში მოქცევა, იმ ნებათა ღელვის, იმ აზრთა სიღრმის, იმ ფილოსოფიური განცდებისა. ტკივილიანი და სევდით სავსე ლექსები მაყვალა გონაშვილისა თანამედროვე საქართველოს ნაცრისფერ ყოფაზე მიგვანიშნებენ. თითქოს პოეტ ქალს ქვეყნის ტრაგედიის ნათითურები სახეზე ამჩნევიაო, ესაა მკვეთრი გამოხატულება პირქუში მწუხარებისა, რომელსაც ფერადი საღებავებით ვერ გადაფარავ. და ჩვენთვის, უკრაინაში მცხოვრებთათვის ეს განცდა განსაკუთრებულად ახლობელია, რადგან ისეთივე ტრაგედიას ვეჯახებით, რაც უკვე გადაიტანა საქართველომ.

მაყვალა გონაშვილის ლექსებში ნაციონალური კოლორიტი და წარსულის სხივი კიაფობს, ამავდროულად, – ის საოცრად თანამედროვეა XXI საუკუნის ადამიანისთვის. მისი ლექსები, მისი მეტაფორული აზროვნება არ არის ფანტასტიკური კონსტრუქციებით გადატვირთული, რაც ხშირად გვხვდება მოდერნისტებში. ყოვე-

ლი ახალი ლექსი მოულოდნელია, როგორც აღმოჩენა, მრავალფეროვანი რითმებითა და ტექნიკური ხერხებით, ეს ყოველივე კი ინსტრუმენტია და არა თვითმიზანი. ამიტომაც, პირველი შეხვედრისას ამას ვერც გრძნობ. ეს უფლის მადლია და არა კარგი სკოლა. იქნებ ვცდები კიდეც, ვის ძალუძს, იყოს პოეზიის მოსამართლე მაღალ ეშელონებში.

მაყვალა გონაშვილმა საქართველოსთან ერთად გადაიტანა ყველა განსაცდელი, მაგრამ დარჩა ისეთივე ნათელი და მშვენიერი, როგორც წითელი კენკრა თოვლის საფარველიდან.

ნატალია ვარენიკი,
უკრაინელი მწერალი, ოქროს კალმის მფლობელი.

სასიხარულო ინფორმაცია

ქალბატონო მაყვალა.

შენი მეგობარი სომეხი მწერლები გაგვახარა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ ქართველთათვის ყველაზე მაღალი ჯილდო – რუსთაველის პრემია მოგენიჭათ.

თქვენ ჩვენთან სომხეთში არაერთი ჯილდო მიგიღიათ. იყავით სომხეთში ჩატარებული მსოფლიო პოეზიის ფესტივალის გრან-პრის მფლობელი და სომხური პოეზიის ქართულად თარგმანებისთვის სომხეთის მწერალთა კავშირმა „ეჩმიაძინის წმინდა მთარგმნელთა“ პრემია მოგანიჭათ.

გილოცავთ ახალ გამარჯვებას და გისურვებთ მრავალ შემოქმედებით წარმატებას.

გაგიკ დავთიანი,
მწერალი, სომხეთის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

მზისდარი შემოქმედება

შენი გამარჯვება ყველა ღირსეულ ხელოვანს უხარია და იმ დიდ ქართველთა სულებსაც, შენ რომ შემოქმედებითი გზა დაგილოცეს.

თუნდაც ეს სიტყვები მინდა გავიხსენო: „უფალი მხოლოდ მას მოჰმადლებს სახელს, ვინც მისგან ბოძებულ ნიჭს სიკეთის ქმნისათვის გამოიყენებს, სიკეთე კი, უპირველესად ერისთვის სამსახური და კაცთათვის სამაგალითო ღვაწლია. მაყვალა გონაშვილი ერთი იმათგანია, რომელმაც კარგად იცის, ქვეყნის წინაშე რაოდენ დიდი ვალი აქვს, როგორც ქალსა და როგორც პოეტს. იცის, რომ „საქართველოში ათგზის ძნელია, იყო პოეტი და იყო ქალი.“

ძნელად გასავლელ გზას შესჭიდებია პოეტი ქალბატონი და აფერუმ, ღირსეულადაც.

რა უნდა იყოს ლამაზი ქალის მშვენიერი ლექსების გამოსარჩლებაზე უფრო საამაყო, როცა იგი „სევდით სავსეა, როგორც ღრუბელი და თვით არ იცი, როდის იწვიმებს“... განა უკვე არ იწვიმა ლამაზმა პოეტესამ თუნდაც იმით, რომ სამშობლოს უთხრა:

„მაინც როგორ გიხდება ეს წყეული სიმღერა,
„მომავალი შენია“! შენია და ელოდე.
ასე როგორ მივიდეთ, ასე დაჩოქილები,
ასე ხელგაწვდილები ხვალის საქართველომდე?!“

უკვე ამით არ იპყრო მან ხელთ ქართული პოეზიის აწმყო?! თავისი წილი!“

ეს ფრაზა ქართული მწერლობის კლასიკოსს ჭაბუა ამირეჯიბს ეკუთვნის, რომლის „დათა თუთაშხია“ ქართველობისთვის ბიბლიის სადარ წიგნად იქცა.

განა რაღა უნდა დაწერო ამაზე უკეთ, განა როგორ უნდა შეაფასო ამ დიდებული ქალბატონის შემოქმედება, რომ რაიმე ახალი და ღირებული წამოგცდეს...

მე კი ვიტყოდი: მაყვალა გონაშვილი ათეული წლებია, რაც ფეხშიშველი მიუყვება ეკლიან უცნობ ბილიკებს და თან ათასი ჭორი, ტყუილ-მართალი მიჰყვება საპყარი მათხოვრის გუდასავით. არც კი ახსოვს, როდის და როგორ შეაჭრეს ფრთები, როგორ დაუხშეს ზეცის კარები. სული დაბზარული ხორნაბუჯივით კბილით უჭირავს და მაინც არ ტყდება, არ ნებდება წუთისოფლის მდინარებას, მზის სხივებით ქსოვს ჩალისფერ დროშებს, კემსავს მეტაფორებით გაცვეთილ ფარდაგს, ბავშვივით ეთამაშება სიკვდილს, კაცისა და მიწის უღელში შებმული, და აქეთ გვებოდიშება, აქეთ გვთხოვს პატიებას, ნუ გამიწყრებით, თუ მარტის სულელ ამინდებს ვგევარო. მის სულში ხომ ყოველივე ისე მეორდება, როგორც ასი, ორასი, ათასი, მირიადი წლის წინ მეორდებოდა: ფოთოლცვენა, ქარი და წვიმა, სიყვარული და თავგანწირვა, ერთგულება და ღალატი. ძნელია ყოველივე ამის ატანა, ამის გადახარშვა, მაგრამ პოეტია და უძლებს. რატომ? იმიტომ, რომ ისიც კარგად მოეხსენება, მის ნატერფალზე ცრემლები მზისფერ იებად ამოიწვერება ხოლმე და არნახული სურნელით აბრუებს გარემოს. მაყვალა გონაშვილი ქართველი პოეტია, თხემით ტერფამდე ქართველი პოეტი, ქართულ სიწმინდეებში ჩაკირული პოეტი და რა გასაკვირია, გულის გულში ჰქონდეს ამოტვიფრული ილია ჭავჭავაძის – წმიდა ილია მართლის სამება – მამული, ენა, სარწმუნოება.

ჩემო მაყვალა, დაუფიქრებლად გეტყვი – დიდი ხანია, რაც ნაპოვნი გაქვს, შენი ადგილი, შენი ნიშა ქართულ მწერლობაში, უფრო მეტიც, თანამედროვე ქართული პოეზია წარმოუდგენელია შენი მზისფერი, მზისდარი შემოქმედების გარეშე.

ღმერთმა დაგლოცოს!

ზაალ ბოტკოველი,
ილია ჭავჭავაძის პრემიის ლაურეატი

პოლონურ-გერმანულ ურთიერთობაზე, ყაზახეთის ამბებსა, და ლამაზ სანჩეს პედროზე

ისტორიულ ურთიერთობას პოლონეთსა და გერმანიას შორის შეიძლება რომ ეწოდოს მასშტაბური და რთული, დაწყებული საუკუნოვანი პოლონურ-ტევტონური ომებითა და დამთავრებული ევროპის ნაციზმთან და ფაშიზმთან ჭიდილის შემზარავი პერიოდით. დღეს, დიალოგი მათ შორის ისევ უკიდურესად დაძაბულია, და ამ დაძაბულობას ბოლო არ უჩანს. ეტყობა, ასეთია ამ ორ ევროპულ ქვეყანას შორის ურთიერთობის ბუნება. პოლონეთის მმართველი პარტიის ლიდერმა იაროსლავ კაჩინსკიმ გერმანია მეოთხე რაიხის აშენებაში დაადანაშაულა. არც მეტი, არც ნაკლები! მან განაცხადა, რომ გერმანიას ნაყიდი აქვს მთელი ევროკავშირი და ბრიუსელი აკეთებს მხოლოდ იმას, რაც გერმანიას მოესურვება, რომელსაც თავში აქვს ავარდნილი, და დროა, გონს მოეგოსო, ასე ამბობს პიდაპირ. კაჩინსკის ამ განცხადებამ გერმანიის მთავრობა განარისხა.

შეგახსენებთ, რომ თავის დროზე, პოლონეთი ორმა იმპერიამ შთანთქა: დასავლეთი გერმანიამ და აღმოსავლეთ, რუსეთმა. ამ მძიმე პოლონურ-გერმანულ ისტორიულ ურთიერთობებს კიდევ უფრო მძიმე დაღი დაასვა ნაცისტურმა გერმანიამ. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ პოლონეთი გერმანიას ყოველთვის როგორც დამპყრობელს, ისე აღიქვამდა, მაგრამ ვილი ბრანდტის კანცლერობის დროს, მათი შერიგების პერსპექტივა გამოჩნდა, როცა 1970 წელს ბრანდტი ვარშავას ეწვია და მეგობრული ურთიერთობის აქტს მოაწერა ხელი. იმ ვიზიტის ყველაზე ნათელი წერტილი ბუნდესკანცლერის მიერ პოლონელ ებრაელთა მემორიალის პატივგება იყო. ვილი ბრანდტმა, ყველასთვის მოულოდნელად, გერმანელთა სინანულის ნიშნად, ვარშავის გეტოს წინააღმდეგობის მემორიალთან დაიჩოქა, რასაც დიდი საერთაშორისო გამოხმაურება მოჰყვა.

ცივი ომის დასასრულს, გერმანია პოლონეთს ისტორიულ გადაწყვეტილებათა მიღებაში გვერდით ედგა, მაგალითად, ევროკავშირსა და ნატოში შესვლის დროს. 2011 წელს, გერმანიამ პოლონეთს თავისი შრომის ბაზარი გაუხსნა და მის ეკონომიკაში დიდი ინვესტიციები განახორციელა, რამაც ხელი შეუწყო მათი პარტნიორობის აყვავებას. პოლონურ-გერმანული ურთიერთობის გაუარესება მას შემდეგ დაიწყო, როცა პოლონეთის ხელისუფლებაში კონსერვატული პარტია „კანონი და სამართლიანობა“ მოვიდა ძმები კაჩინსკების ლიდერობით, და კიდევ უფრო მეტად დაიძაბა, როდესაც პოლონეთმა, სასამართლოს რეფორმის დროს, თავისი კანონები ევროკავშირის კანონებზე მაღლა დააყენა. მაშინდელმა ბუნდეს-კანცლერმა და ევროკავშირის ხელმძღვანელობამ მძაფრად გააკრიტიკეს პოლონეთის მთავრობა და სანქციებით დაემუქრნენ.

იმის მერე დღე არ გადის, რომ პოლონეთის ოფიციალურ მედიაში გერმანიის მწვავე კრიტიკა არ ისმოდეს:

* * *

ყაზახეთის ამბები მინელდა. ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს შორიდან, მაგრამ დასკვნებია გასაკეთებელი. იმ უცნაურ მოვლენებს შეჯამება სჭირდება. ამასწინანდელი საპროტესტო გამოსვლები ქვეყნის ისტორიაში ყველაზე მასობრივ არეულობაში გადაიზარდა და მალევე დასრულდა, მაგრამ კითხვა, თუ რა მოხდა სინამდვილეში, ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია. ყაზახეთის ხელისუფლებამ მომხდარს ტერორისტული თავდასხმა დაარქვა. რუსეთმა, რა თქმა უნდა, მხარი აუბა ასეთი ვერსიის დამკვიდრებას, და სასწრაფოდ, რეგიონში თავისი საქმე წასწია წინ. ტერორისტული ვერსიის შესახებ, იცით, როგორ ლაპარაკობენ? ფრთხილად, ეშმაკურად და მოზომილად, თან ისე, რომ ეჭვს ბადებენ მის ჭეშმარიტებაში.

არეულობის დაწყებიდან რამდენიმე დღეში, ამღვრეული წყალი ნელ-ნელა დაწდა, და გამოიკვეთა მოვლენათა განვითარების ყველაზე მეტად სავარაუდო სქემა, ანუ ის თუ რა მოხდა სინამდვილეში. მოკლედ, ამ წლის დასაწყისში, ავტომობილის საწვავზე ფასის უეცარმა მკვეთრმა ზრდამ ქვეყნის დასავლეთში პირველ დემონსტრაციებს მისცა ბიძგი. ამის შემდეგ, ყაზახეთის უამრავი დიდი და პატარა ქალაქის ქუჩებში გამოსული ათიათასობით ადამიანის სამიზნე თავად ყაზახეთის ავტორიტარული მთავრობა გახდა.

დასავლელი ექსპერტების აზრით, ეკონომიკური პრობლემების გარდა, ყაზახეთს ორხელისუფლებიანობა აწუხებდა. ქვეყანას, 90-იანი წლებიდან მოყოლებული, თანამედროვე პრაგმატისტად ქცეული ძველი კომუნისტი ნურსულთან ნაზარბაევი მართავდა. თითქმის ყველა კერძო თუ სახელმწიფო საკვანძო ადგილს ნაზარბაევის ოჯახი აკონტროლებდა. ყაზახეთი ნურსულთანის პიროვნების კულტმა მოიცვა. ხალხმა მას „ელბასი“ ანუ ერის ბელადი უწოდა. დედაქალაქის სახელი „ასტანა“ შეცვალეს და „ნურსულთანი“ დაარქვეს. 2019 წელს, 81 წლის ნაზარბაევი გადადგა და მემკვიდრედ დიდი ხნის მოკავშირე, თოყაევი დასახელა. 2019 წლიდან, თოყაევი ყაზახეთის პრეზიდენტია. ნაზარბაევი კი, სამუდამო ვადით დაინიშნა ეროვნული უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელად. ხსენებული პოსტით, რომელიც სამხედრო და უშიშროების სამსახურებს აკონტროლებს, ნაზარბაევი ქვეყანაში მნიშვნელოვან გავლენას ინარჩუნებდა.

აი, აქედან წარმოიშვა ორხელისუფლიანობა. ყაზახეთი, ბოლო ათწლეულია, ავტორიტარული ქვეყნის ენციკლოპედიურ მაგალითს წარმოადგენს. შუა აზიის ხუთ სახელმწიფოს შორის, რომლებმაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებლობა მოიპოვეს, ყაზახეთი ყველაზე დიდი და მდიდარი ქვეყანაა. მისი ტერიტორია ზომით დასავლეთ ევროპის ტოლია და ის ნავთობის, ბუნებრივი გაზის, ურანისა და ძვირფასი ლითონების ვეებერთელა მარაგებს ფლობს.

სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ნაზარბაევის მმართველობის გარკვეულ პერიოდებში ეკონომიკა იზრდებოდა. ვინ იცის, ამ უცებ მოვარდნილი მატერიალური წარმატების გამო ეპატიებოდათ ყაზახებს დანარჩენი სამყაროს თვალში მკვეთრად გამოხატული ავტოკრატიის თმენა. ყაზახეთის ბუნებრივმა სიმდიდრემ მყარი საშუალო კლასი და ულტრამდიდარი მაგნატების მნიშვნელოვანი ფენა შექმნა, თუმცა, მოსახლეობის ფართო მასა მაინც ფინანსურ სიდუხჭირეს განიცდის. მდიდრები კი, როგორც წესი, ნაზარბაევის ახლობლები არიან. აქედან გამომდინარე, იმატა კორუფციამ.

დასავლური ინვესტიციების მიუხედავად, ქვეყნის ეკონომიკა მაინც დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი მოთხოვნაა მათ ნედლ ენერგო-პროდუქტებზე ჩინეთსა და რუსეთში. თავდაპირველად, ყაზახეთში განვითარებული მოვლენები ყველამ საპროტესტო მუხტის კრიტიკულ დაგროვებას დააბრალა, თუმცა, ყველაფერი უფრო საინტერესო ხაზით განვითარდა და შეუმჩნევლად გადაიზარდა მაღალი წრეების ძალაუფლებასა და ხალხის ნების დაპირისპირებაში. ახალი წლის დასაწყისში, როცა პროტესტი აგორდა, ყაზახეთის ქუჩებში მჭურველები (მოროდიორები) და შეირაღებული ახალგაზრდები გამოჩნდნენ. ექსპერტების აზრით, ისინი ნაზარბაევის კლანს წარმოადგენდნენ, რომელთაც არეულობის გამოწვევა ჰქონდათ მიზნად. როგორც ჩანს, მათ ზურგს უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელობა უმაგრებდა. ყაზახეთის მთავრობის ძალოვანი სექტორი შიგნიდან გატეხილ ციხეს დაემსგავსა. ბოლოს, პრეზიდენტმა თოყაევმა დახმარება ODKB-ს ანუ ბელარუსის, რუსეთის, სომხეთის, ტაჯიკეთის, უზბეკეთის, ყაზახეთისა და ყირგიზეთის კოლექტიური თავდაცვის ორგანიზაციას სთხოვა. სამეფო კარის თამაშების ამგვარი წარმართვა ნაზარბაევის კლანის მიერ სახელმწიფო სადავეების ხელიდან გაშვებას მოასწავებს. რაც შეეხება თავად პრეზიდენტ თოყაევს, ეტყობა, ის ამ კლანის თითქმის ყველა წარმომადგენელს ნელ-ნელა იშორებს თავიდან. ერთი სიტყვით, ხელისუფლება საკმაოდ უშფოთველად გადანაწილდა, თუმცა, ეს მშვიდი ცვლილება მხოლოდ დასაწყისია ყაზახეთში ხელისუფლების შეცვლის ხანგრძლივი და, მე ვიტყოდი, არაპროგნოზირებადი პროცესისა.

იხ. 8 გვ.

(მეგობრე ბვერდიდან)

პოლონურ-გერმანულ ურთიერთობაზე, ყაზახეთის ამბებს, და ლამაზ სანჩეს პედროზე

პედრო სანჩესი 46 წლის ასაკში გახდა ესპანეთის პრემიერ-მინისტრი. ფრანკოს დიქტატურა მისი დაბადებიდან სამი წლის შემდეგ დაეცა, და პედრო შედარებით თავისუფალ ესპანეთში გაიზარდა ერთ შეძლებულ, თუმცა, სოციალისტური პოლიტიკური განწყობის მქონე ოჯახში. მამა ეკონომისტი ყოლია, დედა კი, ვექილი. მაღალ, წარმოსადეგი გარეგნობის ახალგაზრდა ლიდერს მოხდენილად ჩაცმა უყვარს და მას ესპანელებმა El Pedro Guapo, ლამაზი პედრო დაარქვეს. ფრანკოს დროს და მის მერეც, ესპანურ პოლიტიკურ სივრცეში იშვიათად თუ ნახავდით უცხო ენაზე მოლაპარაკე ახალგაზრდას. მაშინ, ახლად წვერულვაშაყრილმა პედრო სანჩესმა იფიქრა, საზღვარგარეთ წავალ, ენებს ვისწავლი, გავნათლდები და კარიერას გავიკეთებო. ასეც მოიქცა: ჯერ მადრიდში მიიღო უმაღლესი განათლება ეკონომიკის დარგში და მერე ბრიუსელში განაგრძო სწავლა პოლიტოლოგიის განხრით. სწორედ ბელგიის დედაქალაქში გაუჩნდა მას პოლიტიკოსობის სურვილი. ევროპაშივე გახდა ეკონომიკის მაგისტრი.

დღეს ის ბრწყინვალედ ფლობს ინგლისურ და ფრანგულ ენებს, რაც დიდად ეხმარება საქმეში. სწავლა რომ დაასრულა, სანჩესი მადრიდში დაბრუნდა. მაშინ, ესპანეთში უმუშევრობა მძვინვარებდა და, ვერც ესპანეთის მომავალმა ლიდერმა ვერ იშოვა სამსახური. ამიტომ, გადაწყვიტა ამერიკაში გადასახლებულიყო, თუმცა მისი ამერიკული ოცნებაც მარცხით დამთავრდა: სამსახური კი იშოვა იქ ერთ-ერთ ფინანსურ კომპანიაში, მაგრამ შიკრიკის ადგილზე მეტს ვერაფერს გამოჰკრა ხელი. ბევრი ფიქრის მერე ისევ მშობლიურ ესპანეთში დაბრუნდა, მეცნიერებას მოჰკიდა ხელი, მალე ეკონომიკის დოქტორი გახდა და რამდენიმე წელი უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს. მართალია, ესპანეთის სოციალისტურ პარტიაში შევიდა, მაგრამ პოლიტიკაში კარირერის გაკეთებაზე სულ არ უფიქრია მაშინ, და შიდა პარტიული სამზარეულოდანაც შორს იდგა.

ბოლოს, მაინც მოუწია აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაბმა: ესპანეთის სოციალისტური პარტიის დეპუტაციას ევროპარლამენტში უცხო ენების მცოდნე მუშაკი დასჭირდა, და სწორედ პედროს ხვდა წილად ეს ვაკანსია. ერთი წლის განმავლობაში თავდადებულად იმუშავა და დაუფასდა კიდეც: ბოსნია-ჰერცოგოვინაში გაეროს წარმომადგენლის აპარატის უფროსად დანიშნეს. ამის შემდეგ, პედრო სანჩესი სამშობლოში დაბრუნდა და აქტიურად ჩაება ესპანეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში სოციალისტრი პარტიის პლატფორმიდან.

ჯერ, მადრიდის საკრებულოს წევრად აირჩიეს, შემდეგ კი, პალამენტარიც გახდა. 2014 წელს, ესპანეთის სოციალისტურ პარტიაში კრიზისი იყო. საპარლამენტო არჩევნებში დამარცხების შემდეგ პარტიაში რეფორმების გატარების მოთხოვნით პარტიის ახალგაზრდა თაობა უფროს თაობას აუჯანყდა. ჩატარდა არჩევნები, და უფროსი თაობა სახტად დარჩა, რომ პარტიის ლიდერად ახალგაზრდა, გამოუცდელი და საზოგადოებისთვის სრულიად უცნობი პედრო სანჩესი აირჩიეს. ძველ თაობას, მალე, ამ სიახლით გამოწვეული იმედგაცრუება შურისძიებაში გადაეზარდა, მით უმეტეს, რომ პარტიის ახალი ლიდერი ენერგიულად შეუდგა საქმეს და, სახელდახელოდ, რამდენიმე რეფორმაც გაატარა. ორი წლის შემდეგ გამართულ საპარლამენტო არჩევნებში ესპანეთის სოციალისტური პარტია კვლავ დამარცხდა. სწორედ აქ იძიეს შური სანჩესზე პარტიის ძველი თაობის წევრებმა. ის პარტიის ლიდერობიდან გადააყენეს. გულგატეხილმა სანჩესმა პარლამენტის წევრობაზე უარი თქვა და პარტიის დატოვებასაც აპირებდა, მაგრამ თანამებრძოლებმა გადააფიქრებინეს. გადაწყვეტილება სწორი გამოდგა. მალე პარტიაში ისევ გაიმართა მამათა და შვილთა ბრძოლა. შედეგად, სანჩესი ისევ პარტიის ლიდერი გახდა. მაშინ ითქვა, რომ პედრო სანჩესს გამარჯვება მხოლოდ მისმა პიროვნულმა თვისებებმა მოუტანაო. 2018 წლის ივნისის თვეში, ესპანეთში საპარლამენტო კრიზისი განვითარდა. უმრავლესობა, ანუ მმართველი ძალა იმ დროს ქვეყნის კონსერვატიული მთავრობა გახლდათ. პარტიის დიდი თანამდებობის პირები კორუფციულ სკანდალში გაეხვნენ, რის გამოც უმრავლესობა დაიშალა. ესპანეთის მეფემ ფელიპემ სოციალისტურ პარტიას უმცირესობის მთავრობის შექმნა დაავალა. პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლისა და მთავრობის ავტორიტეტის ასაწევად, სოციალისტების ლიდერმა პედრო სანჩესმა მინისტრთა კაბინეტში არა მხოლოდ მისი თანაპარტიელები, არამედ რამდენიმე ცნობილი ავტორიტეტული პიროვნება შეიყვანა. თავად კი, ესპანეთის თანამედროვე ისტორიაში შევიდა, როგორც ქვეყნის პარლამენტის არაწევრი მეთაური.

სანჩესისთვის უმცირესობის მთავრობის ხელმძღვანელობა ერთგვარად საჩოთირო იყო და გადაწყვიტა, 2019 წლის აპრილში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ჩაეტარებინა. სოციალისტურმა პარტიამ არჩევნები კი მოიგო, მაგრამ იმდენი ხმა ვერ დააგროვა, რომ ქვეყანა ემართა. სანჩესმა სცადა, კოალიციური მთავრობა შეექმნა პოპულისტურ მემარცხენე პარტია Podemos-თან ერთად. ეს ქვეყნის ახალი პოლიტიკური ძალაა და თარგმანში ნიშნავს „შეგვიძლია“ — Podemos. კოალიცია ვერ შედგა და ისევ რიგგარეშე არჩევნები გამოცხადდა, რამაც მდგომარეობა ვერ შეცვალა. და აი, სწორედ აქ იჩინა თავი პედრო სანჩესის პიროვნულმა ძლიერებამ და პოლიტიკურმა ალღომ. მან ბოლოს და ბოლოს, დაითანხმა პარტია Podemos ხელმძღვანელობა კოალიციის შექმნაზე. კოალიციას შეუერთდნენ კატალონიის მემარცხენეებიც. 1978 წლის შემდეგ, ესპანეთს პირველად მართავს კოალიციური მთავრობა.

პედრო სანჩესის კაბინეტმა მოახერხა არაერთი რეფორმის გატარება. ესპანეთს უკვე კარგა ხანია, აწუხებს უმუშევრობა. სანჩესის რეფორმების წყალობით, უმუშევრობის მაჩვენებელმა საგრძნობლად დაიწია. შემცირდა სახელმწიფო ვალიც. სანჩესმა მეტად წარმოაჩინა ესპანეთი საერთაშორისო არენაზე და გააააქტიურა მისი როლი ევროკავშირში, უწოდა რა თავის თავს შემტევი პრო-ევროპელი. ასე თქვა, ევროპის მტრები ევროკავშირის შიგნით უნდა ვეძიოთო. პედრო სანჩესმა ის ავღანელები შეიფარა, რომლებიც ევროკავშირთან თანამშრომლობდნენ და ავღანეთის ისლამური ემირატების შექმნის კვალდაკვალ საფრთხეში აღმოჩნდნენ. სანჩესი განსხვავებულად მიუდგა კატალონიის საკითხსაც. კონსერვატიული პარტია გამორიცხავდა კატალონიის სეპარატისტებთან მოლაპარაკებას.

სანჩესმა კი, ბევრ კატალონიელ პოლიტიკოსს უბოძა თავისუფლება, მაგრამ ამავე დროს, იმასაც გაუსვა ხაზი, რომ არასოდეს არ შედგება რეფერენდუმი კატალონიის დამოუკიდებლობის შესახებ. სანჩესის ერთმა გადაწყვეტილებამ ესპანეთი კინაღამ პოლარიზაციის პირას დააყენა. მისმა მთავრობამ ფრანკოს ნეშტი საპატიო მემორიალიდან საგვარეულო სასაფლაოზე გადაასვენა.

ამან ფრანკოს მომხრეების აღშფოთება გამოიწვია, მაგრამ სანჩესმა მოახერხა ესპანეთის მოსახლეობის დამშვიდება. რაც შეეხება პირად ცხოვრებას, ესპანეთის პირველი ლედი ბეგონია ფერნანდესი საქველმოქმედო ფონდში მუშაობს. მათ ორი შვილი ჰყავთ. ქალბატონი ხშირად ჩანს ხოლმე მედიასივრცეში. მოდების ექსპერტები ხაზს უსვამენ პირველი ლედის ჩაცმულობის ელეგანტურ სტილს. სანჩესი და მისი ცოლი ათეისტები არიან.

ნუგზარ ბ. რუხაძე
პოსTV

„კატეგორიულად მიუღებელი“ განცხადებების გამო თანამდებობიდან გადადგა

გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალების ხელმძღვანელი, ვიცეადმირალი კაი-ახიმ შენბახი თანამდებობიდან გადადგა. მიზეზი მის მიერ უკრაინის შესახებ გაკეთებული განცხადებაა. კაი-ახიმ შენბახმა პარასკევს, ინდოეთში გამართულ დისკუსიაზე განაცხადა, რომ მოსაზრება, თითქოს რუსეთს უკრაინაში შეჭრა სურს, სისულელეა. მისივე თქმით, ერთადერთი, რაც პუტინს უნდა, არის პატივისცემა. ვიდეო სოციალურ ქსელში მოგვიანებით გავრცელდა და მრავალი გამოხმაურება მოჰყვა.

ამავე ვიდეოში კაი-ახი შენბახი ამბობს, რომ პუტინს სჭირდება დასავლეთი ისე მოეპყრას, როგორც თანასწორს. შენბახის თქმით, ყირიმის ნახევარკუნძული, რომელიც 2014 წლიდან რუსეთის მიერაა ანექსირებული, „გაქრა და აღარასოდეს დაბრუნდება“. უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შენბახის კომენტარებს „კატეგორიულად მიუღებელი“ უწოდა. მინისტრმა დმიტრო კულებამ „ტვიტერზე“ დაწერა, რომ გერმანიის პოზიციამ პუტინი თავდასხმისკენ წაახალისა.

კაი-ახიმ შენბახის თქმით, მის მიერ თანამდებობის დაუყოვნებლივ დატოვების მიზანი „დამატებითი ზიანის თავიდან არიდებაა“. პარასკევს გამართულ დისკუსიაზე შენბახმა საქართველოც ახსენა და თქვა: **„საქართველო ნატოში გაწევრიანებას ესწრაფვის. შეესაბამება თუ არა ის ალიანსის კრიტერიუმებს? კი. გონივრულია, თუ არა მისის ნატოს წევრად მიღება? არა“.**

პრეზიდენტის შეურაცხყოფისთვის დააკავეს

თურქი ჟურნალისტი სედეფ კაბასი დააკავეს. მიზეზი ქვეყნის პეზიდენტის შეურაცხყოფაა.

„არსებობს ცნობილი ანდაზა, რომლის თანახმადაც, გვირგვინის დადგმის შემდეგ, თავი უფრო ჭკვიანი ხდება, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ეს სიმართლე არაა. ხარი სასახლეში შესვლით მეფე ვერ გახდება, მაგრამ სასახლე იქცევა ბეღელად“, — განაცხადა ჟურნალისტმა. ერდოღანის პრესმდივანმა ფაჰრეთინ ალტუნმა მის განცხადებას „უპასუხისმგებლო“ უწოდა. თურქეთში მოქმედებს კანონი, რომლის მიხედვითაც, პრეზიდენტის შეურაცხყოფა 1-დან 4 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ქვეყანას ამ კანონის შეცვლისკენ არაერთხელ მოუწოდა.

ბერლუსკონიმ... გადაიფიქრა

იტალიის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ განაცხადა, რომ ქვეყნის პრეზიდენტობისთვის არჩევნებში მონაწილეობას აღარ გეგმავს.

„დღეს იტალიას ერთიანობა სჭირდება. სხვა გზებით გავაგრძელებ ჩემი ქვეყნისთვის მსახურს“, — აღნიშნა მან. ბოლო დროს, პრესა აქტიურად განიხილავდა, რომ ბერლუსკონის ქვეყნის მოქმედი პრეზიდენტის სერჯო მატარელას შეცვლა სურდა და 24 იანვარს დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში ერთ-ერთი კანდიდატი იქნებოდა. იტალიის მომდევნო პრეზიდენტობას ამჟამინდელ პრემიერს მარიო დრაგის უწინასწარმეტყველებენ, თუმცა, ჯერ კიდევ არაა ცნობილი, დაუჭერს თუ არა მხარს მის კანდიდატურას პარტიების ფართო სპექტრი, რომელიც დრაგის კოალიციის მხარდამჭერია. ბერლუსკონის თქმით, სურს, ევროპის ცენტრალური ბანკის ყოფილი პრეზიდენტი დრაგი 2023 წლამდე, ვადის ამოწურვამდე, მინისტრთა კაბინეტის სათავეში იყოს.

დემოკრატია ბრიტანულად!..

ბრიტანეთის პარლამენტის წევრის ნუსრატ განის განცხადებით, 2020 წლის თებერვალში, ტრანსპორტის მინისტრის თანამდებობიდან იმის გამო გაათავისუფლეს, რომ მუსლიმია.

49 წლის პოლიტიკოსი აცხადებს, რომ კოლეგებს მისი „რწმენა დისკომფორტს უქმნიდა“.

„მითხრეს, რომ მუსლიმობა „სადავო საკითხია“ და რომ ჩემი, როგორც მუსლიმი ქალის მინისტრობა კოლეგებს თავს არაკომფორტულად აგრძნობინებდა. თავს არ მოგაჩვენებთ, თითქოს, ამან არ შეარყია ჩემი ნდობა და რწმენა პარტიის მიმართ... ზოგჯერ, სერიოზულად მიფიქრია, გამეგრძელებინა თუ არა დეპუტატობა“, — ამბობს განი, რომელიც ბრიტანეთის პირველი მუსლიმი ქალი მინისტრი იყო. ამ საკითხზე, მინისტრთა კაბინეტის მეთაურის ბორის ჯონსონის ოფისს ჯერ განცხადება არ გაუვრცელებია.

საქართველო წმინდა მიწას უბრუნდება

მოვახერხებთ ჯვრის მონასტრის დაბრუნებას?!

მდინარე იორდანესთან, მაცხოვრის ნათლობის ადგილზე, როგორც უკვე ვიუწყებოდით, საქართველოს 4000 კვ.მ. მიწა გადაეცა. უცნობია, უშუალოდ ამ ტერიტორიაზე არის თუ არა ქართული ნაკვალევი და ჩატარდა თუ არა არქეოლოგიური სამუშაოები ქართული არტეფაქტების გამოსავლენად, მაგრამ, ზოგადად, წმინდა მიწა რომ ქრისტეს ნატერფალის გარდა ქართულ ნაკვალევსაც ინახავს, არავისთვის უცნობი არაა. მხოლოდ პეტრე იბერმა, მეხუთე საუკუნის ამ ბრწყინვალე ქართველმა თეოლოგმა და ფილოსოფოსმა, იერუსალიმში, იორდანიასა და იუდეის უდაბნოში არაერთი ქართული ძეგლი აღმართა, რაც საქართველოდან გაწეული დახმარების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

დღეს წმინდა მიწაზე ვოიაჟები ერთგვარ მოდად იქცა, ძალიან ხშირად ვხედავთ იერუსალიმში ჩასულ ერთსა და იმავე სახეებს, ლამის მორწმუნეობა იმით განისაზღვროს, რამდენჯერ ვესტუმრეთ იერუსალიმს, ათონის მთას, იტალიის ქალაქ ბარში მდებარე წმინდა ნიკოლოზის საფლავს და გვავიწყდება ილია მეორის ნათქვამი: „შეჩვევა იცის წმინდა მიწამ, ამ დროს ადამიანს ავიწყდება, რომ ის წმინდა მიწაა და ხშირად იქ ჩვეულებრივად იქცევა. წმინდა მიწაზე არის დიდი სიწმინდე და მასთან ერთად დიდი ბრძოლებიც. კეთილი და ბოროტი განსაკუთრებით იბრძვის წმინდა მიწაზე“.

ქართველები ვამაყობთ იმით, რომ ადამისა და მაცხოვრის საძვალეები, გოლგოთა, ქრისტეს საფლავის კლიტე, ბეთლემის ღვთისმშობლის მონასტერი გვეკუთნოდა, 36 ქართული მონასტერი და მისი ნაშთი დაგვიტოვებია ამ ტერიტორიაზე, მათ შორის, ჯვრის მონასტერი, იერუსალიმში ჩვენს წინაპრებს საკუთარი იბერთა ქუჩა ჰქონდათ, რომლითაც პირდაპირ მიდიოდნენ აღდგომის ტაძარში. ისტორიულ მეხსიერებას შემორჩენია ისიც, რომ ვახტანგ გორგასალი არაერთ ტაძარს აშენებდა წმინდა მიწაზე და იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დასაცავად სწორედ მის მიერ დატოვებული ქართული რაზმის დაარსებულია სოფელი მალხა. მალხელები თავს გურჯებად მიიჩნევდნენ, მაგრამ მათმა უმრავლესობამ არაბიზაცია განიცადა, თუმცა ჯვრის მონასტერზე მზრუნველობას არ კარგავდნენ. ბოლო პერიოდში ქალაქის ზრდასთან ერთად საჭირო გახდა სოფელ მალხაზე მაგისტრალის გაყვანა, რის გამოც მალხელი ქართველები გადაასახლეს და ისინიც მიმოიფანტნენ.

სასურველია, იერუსალიმში ქართული კულტურის ცენტრის გახსნის შემდეგ ჯვრის მონასტრის გამოსყიდვის საკითხიც დაისვას, რაც ბერძნების დაინტერესებით უნდა განხორციელდეს. ასევე, ქართული კულტურის სხვა ნაშთებსაც მიეხედოს, რადგან ცნობილია, რომ წმინდა მიწაზე მიწის გათხრის დროს არაერთი ქართული ნაშთი აღმოჩენილა. ეს დაახლოებით ისე უნდა მოხდეს, როგორც რუსებთან მიმართებით, რომლებსაც თავის დროზე ძალიან ბევრი რამ ჰქონდათ შეძენილი წმინდა მიწაზე, მაგრამ მერე თვითონ ისრაელის სახელმწიფომ გამოისყიდა რუსების შენაძენი.

იორდანიაში ქართველებისთვის მიწის გადმოცემის ფაქტს ისტორიკოსი **ჯაბა სამუშია** for.ge-სთან საუბარში ასე აფასებს:

— იორდანიაში თითქმის ნახევარი ჰექტარი მიწის ნაკვეთის ქართველებისთვის გადმოცემა ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია, იქიდან გამომდინარე, რომ იმ ტერიტორიაზე ქართული მხარე ამხელა მიწის ნაკვეთს არ ფლობდა. გადაწყვეტილია, იმ ტერიტორიაზე აშენდეს ქართული კულტურის ცენტრი, რაც გაძლიერებს იმ სამეცნიერო პოტენციალს, რომელიც წმინდა მიწაზეა. ცხადია, წმინდა მიწაზე არსებული ქართული სიძველეების შესწავლა მოხდება.

— იმ მიწაზე, სადაც ქრისტეს დაუდგამს ფეხი, ნებისმიერი ადგილი წმინდად ითვლება. იორდანიაში გადმოცემულ მიწის ნაკვეთზე ქართველთა ნაკვალევის დამადასტურებელი ისტორიული არტეფაქტებიც ხომ არ აღმოჩნდა?

— ვერ გეტყვით, უშუალოდ ამ ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაო ჩატარდა თუ არა და აღმოჩნდა თუ არა ქართული არტეფაქტები, მაგრამ ეს არის მიწის ნაკვეთი იმ ტერიტორიასთან ახლოს, სადაც ქრისტეს ნათლობის ადგილია, ანუ მდინარე იორდანესთან. ამას დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ამ ადგილას მთელი მსოფლიოდან ჩადიან მომლოცველები. რეალურად, ეს კულტურული ცენტრი მომავალში უნდა გადაიქცეს ქართული ნაკვალევის შესწავლის ცენტრად.

— იერუსალიმის ჯვრის მონასტერი ადრე ქართველებს ეკუთვნოდათ, ახლა ბერძნების ხელშია, ფრანცისკანელებისგან (იტალიელები და ესპანელები) განსხვავებით, რომლებიც ნანობენ, რომ მე-19 საუკუნეში დიდი დანაშაული ჩაიდინეს და ფრანცისკანელთა მონასტერი ისე დააშენეს ქართულ ნამონასტრალს, არც კი დაინტერესებულან, რა არქეოლოგიური მასალა იმალებოდა მიწის ქვეშ, ბერძნებს კი ასეთი სინანული არ აქვთ. ჯვრის მონასტრის დაბრუნება როგორ უნდა მოხდეს?

— რაც შეეხება ჯვრის მონასტრის დაბრუნების საკითხს, დღესდღეობით ეს მონასტერი იერუსალიმის საპატრიარქოს ხელშია, საკმაოდ მძიმედ უყურებენ იერუსალიმის საპატრიარქოს წარმომადგენლები ქართველების დაინტერესებას ამ თემით, მაგრამ ამ მიმართულებითაც ბევრი რამ გაკეთდა ბოლო წლებში. მაგალითად, თუ წინათ ჯვრის მონასტერთან დაკავშირებით საძიებო სისტემებში მხოლოდ და მხოლოდ ჯვრის მონასტერი იყო მითითებული, ახლა უკვე იქ მითითებულია და გუგლის რუკების მეშვეობით დღეს შეგიძლიათ ნახოთ ჯვრის ქართველთა მონასტერი. ამ თვალსაზრისით თავის დროზე საფუძვლიანი პრეტენზიები გამოითქვა, დღეს კი იერუსალიმის საპატრიარქო უნდა შეეგუოს ამ მდგომარეობას. ამ ეტაპზე ჯვრის მონასტრის საკითხი არ დგას, რაც ეტაპობრივად მისაღწევია.

არჩილ ნოზაძე

ჯვრის მონასტერი იერუსალიმში

მორიგი სიყალბე!

აიპ „ქართული ფილმის განვითარების ფონდი“ ერთ-ერთი ტელეკომპანიის მიერ გავრცელებულ ცრუ ინფორმაციას ეხმიანება, თითქოს „თეა წულუკიანის შავ სიას უსამსახურროდ დარჩენილი კიდევ 50 ადამიანი დაემატა – კულტურის მინისტრის ახალი სამიზნე ამჯერად თუმანიშვილის თეატრის ეზოში არსებული აიპის თანამშრომლები გახდნენ, რომლებიც განმარტებების გარეშე სახლში გაუშვეს.“

„სიუჟეტში საუბარია, თითქოს კულტურის მინისტრის გადაწყვეტილებით სახლში გაუშვეს ხელოვანები. სინამდვილეში სიუჟეტში დასახელებული სივრცე არის არა თუმანიშვილის თეატრის ეზო, როგორც ეს სიუჟეტშია ნათქვამი, არამედ ეს არის ე.წ. ძველი კინოსტუდიის ტერიტორია (მასზე განლაგებული შენობებით), რომელსაც ჰყავდა 58 მოიჯარე. ესენი არიან არა ხელოვანები, როგორც ეს სიუჟეტში აღინიშნა, არამედ - კერძო ბიზნესის წარმომადგენლები (მათ შორის იყო ე.წ. მატრასების საამქრო, მოტოციკლეტების მაღაზია და საწყობი და ა.შ.), რომლებიც სარგებლობდნენ კინოსტუდიის სივრცით და ზრუნავდნენ არა ქართული კინოს განვითარებაზე, არამედ საკუთარ ბიზნესზე. აღსანიშნავია, რომ სიუჟეტის რესპონდენტები (რომლებიც სიუჟეტში ხელოვანებად არიან მოხსენიებული) არიან მოტოციკლეტების მაღაზიის! სახელოსნოს დამფუძნებელი და ავეჯის საამქროს მფლობელი, რომელსაც ფონდის საიჯარო დავალიანება აქვს 12 000 ლარის ოდენობით. მოცემულ მოიჯარეებს იჯარის ვადა გაუვიდათ 2021 წლის 31 დეკემბერს და ერთი თვით ადრე ეცნობათ, რომ იჯარის ვადის გასვლის შემდეგ უნდა დაეცალათ შენობები. 55-მა მათგანმა ეს მოთხოვნა შეასრულა და ამ ეტაპზე დარჩენილია მხოლოდ სამი მოიჯარე, რომელიც არ ტოვებს კინოსტუდიის ქონებას.

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის დეკემბერში ქართული ფილმის განვითარების ფონდის დაკვეთით ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ ჩაატარა ყოფილი კინოსტუდიის ტერიტორიაზე არსებული შენობების მდგრადობის ექსპერტიზა. სამხარაულის ბიუროდან მიღებული დასკვნის თანახმად, მოცემული 15 შენობიდან უმეტესობა არის ამორტიზებული, ექსპლუატაციისთვის საფრთხის შემცველი და მათგან ხუთი შენობა ექვემდებარება დემონტაჟს. ამდენად, ამ შენობებში საქმიანობა საფრთხის შემცველია და ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე ფონდის გამგეობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მას შემდეგ, რაც ტერიტორიას სრულად დატოვებენ მოიჯარეები, უნდა მოხდეს შენობების რეაბილიტაცია და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება აუქციონის წესით იჯარით გაცემა, მხოლოდ იმ პროფილურ სახელოვნებო ორგანიზაციებზე, რომლებიც შეასრულებენ იმ დანიშნულებას, რაც თავის დროზე ჰქონდა კინოსტუდიას — ქართული კინოს განვითარება. ამდენად, ზემოხსენებული სიუჟეტი ემყარება არა რეალურ ფაქტებს, არამედ არის ცრუ ინფორმაცია და მორიგი სიყალბე“, — აღნიშნავენ ფონდში.

◎ წინ, საქართველო!

ოქროს ასოებით...

2002 წლის 22 იანვარი ოქროს ასოებით ჩაიწერება ქართული სპორტის მატიანეში. ამ დღეს ავთანდილ ასათიანის გაწვრთნილმა ფუტსალის ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის ჯგუფური რაუნდის სტარტზე 0:2-ის შემდეგ აზერბაიჯანის გუნდი დაამარცხა — 3:2. მეზობელთა კარში გოლები ელისანდრომ, სებისკვერაძემ და თალესმა (პენალტით) გაიტანეს.

ამ გამარჯვებით „ჯვაროსნებმა“ ცალი ფეხით უკვე შეაბიჯეს პლეი-ოფში, რადგან მათი კონკურენტი ბოსნია, რომელსაც ზეგ ვხვდებით, ფავორიტ ესპანეთთან 1:5 განადგურდა.

მატჩის შემდეგ ავთანდილ ასათიანმა კომენტარი გააკეთა და აღნიშნა, რომ ამ გამარჯვებამ ეიფოროა არ უნდა გამოიწვიოს.

„გილოცავთ! ვიცი, რა სიხარულიც მოუტანა მოგებამ საქართველოს. გვჯეროდა ამ გამარჯვების და არაერთხელ ვთქვი, რომ საწყისი წუთები ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა. ევროპის ჩემპიონატზე პირველად ვასპარეზობდით და ეს ემოციური ფონი იგრძნობოდა მოედანზე. მთავარია, რომ ორი გაშვებული ბურთის შემდეგ სწრაფად მოვახერხეთ მობილიზება. გასახდელში ვისაუბრეთ, რა უნდა გაგვეკეთებინა მეორე ტაიმში. ვფიქრობ, ამ ბიჭებმა დაიმსახურეს და ჩვენთვის ისტორიულ მომენტში პირველი სამი ქულა აიღეს. აღნიშნულმა გამარჯვებამ ეიფორიაში არ უნდა ჩაგვაგდოს. უნდა ვეცადოთ, რომ შემდეგ თამაშზე გადავერთოთ. ბოსნია-ჰერცეგოვინასთან ძალიან რთული მატჩი გველის და ასპროცენტიანი მობილიზების გარეშე იოლი არ იქნება. ჩემი აზრით, თამაშის სურათი საწყისმა წუთებმა და გაშვებულმა გოლებმა განაპირობა. ვირწმუნეთ, რომ ესეც ჩვეულებრივი თამაშია. ჩვენი წარმატება განსაკუთრებული სიურპრიზი არ ყოფილა. ველოდით ამ გამარჯვებას და ამისთვის ყველაფერი გავიღეთ. საქმე ძალიან ძლიერ მოწინააღმდეგესთან გვქონდა და მოსაგებად მაქსიმუმის მაქსიმუმი გავაკეთეთ“, — თქვა ასათიანმა.

◎ რეიტინგი

ტრიუმფის შემდეგ

ტოკიოს ოლიმპიადის მთავარი ტკივილი — სანდრო ბაზაძე, გემახსოვრებათ, რომ ეგვიპტელმა მსაჯმა უღვთოდ გაწირა და უმაღლესი ტიტულისკენ მიმავალ ბილიკს დანარჩენ კოლეგათა კვერის დაკვრით სკანდალურად ჩამოაშორა, მაგრამ სულით ძლიერმა ამ გაუტეხელმა მუშკეტერმა მალევე გადალახა ფსიქოლოგიური სტრესი და თანამემამულეთაგან პირველმა თბილისში გამართული მოხმალავეთა მსოფლიოს თასი ერთი ამოსუნთქვით მოიგო!

ბუნებრივია, აღნიშნულმა ტრიუმფმა სათანადო ასახვა განახლებულ საერთაშორისო რეიტინგშიც ჰპოვა — სამშობლოში დამსახურებულმა პრესტიჟულმა ჯილდომ სახელოვან წინამორბედთა ღირსეული მემკვიდრე მესამე პოზიციამდე აღაზევა უნგრელი არონ სილადისა და კორეელი ო სან უკის შემდეგ, მისი ძმა **ბექა ბაზაძე** კი ასევე მოწინავეთა ასეულის წევრია და 57-ე ადგილზეა.

ერთადერთი წარმომადგენელი გვყავს ქალთა ელიტაში — ევროპის 2017 წლის ჩემპიონი ხმლით ფარიკაობაში **თეოდორა კახიანი-მეკლინგი** ჯერჯერობით 86-ე საფეხურს იკავებს.

უახლოესი ტურნირები — მსოფლიოს თასის პირად-გუნდური ეტაპები „ჯვაროსნებს“ 28-30 იანვარსა (პლოვდივი, ბულგარეთი, ქალები) და 18-19 თებერვალს (ვარშავა, პოლონეთი, ვაჟები) ელით, ხოლო ევრო-2022 მაის-ივნისის მიჯნაზე თურქულ ანტალიაში ჩატარდება.

◎ ტატამი

სეზონის კონტურები

მოგეხსენებათ, ქართული სპორტისათვის ძიუდო მედლების კონვეიერის ფუნქციას ასრულებს, ამიტომ გულშემატკივართათვის საინტერესო უნდა იყოს, როგორია ტატამის „ჯვაროსან“ დიდოსტატთა წლევანდელი კალენდარი.

უპირველესად, ცხადია, თბილისის გრანდ სლემის თარიღს გაგაცნობთ, რომელიც შარშან მასპინძელთა ტრიუმფით დასრულდა: **„ოქრო“** — თეიმურაზ ნოზაძე (60 კგ), გელა ზაალიშვილი (+100 კგ); **„ვერცხლი“** — ვაჟა მარგველაშვილი (66 კგ), ილია სულამანიძე (100 კგ), ეთერ ლიპარტელიანი (57 კგ); **„ბრინჯაო“** — ლაშა შავდათუაშვილი, ალეკო მამიაშვილი (ორივე — 73 კგ), ტატო გრიგალაშვილი (81 კგ), საბა ინანეიშვილი (+100 კგ). იგი 25-27 მარტსაა ჩანიშნული.

რაც შეეხება სეზონის უმთავრეს ფორუმს, მსოფლიოს ჩემპიონატი 2-9 ოქტომბერს ტაშკენტში გაიმართება, ხოლო პირველი ტურნირი — ალმადას გრან პრი 28-30 იანვარს პორტუგალიაშია დაგეგმილი.

დანარჩენ ასპარეზობათა განრიგი: **5-6 თებერვალი:** პარიზის გრანდ სლემი (საფრანგეთი); **17-19 თებერვალი:** თელ-ავივის გრანდ სლემი (ისრაელი); **1-3 აპრილი:** ანტალიის გრანდ სლემი (თურქეთი); **20-22 მაისი:** ყაზანის გრანდ სლემი (რუსეთი); **4-6 ივნისი:** დიუსელდორფის გრანდ სლემი (გერმანია); **24-26 ივნისი:** ულან-ბატორის გრანდ სლემი (მონღოლეთი); **8-10 ივლისი:** ბუდაპეშტის გრანდ სლემი (უნგრეთი); **15-17 ივლისი:** ზაგრების გრან პრი (ხორვატეთი); **21-23 ოქტომბერი:** აბუ დაბის გრანდ სლემი (არაბთა გაერთიანებული საამიროები); **4-6 ნოემბერი** — ბაქოს გრანდ სლემი (აზერბაიჯანი); **3-4 დეკემბერი:** ტოკიოს გრანდ სლემი (იაპონია); **16-18 დეკემბერი:** მასტერსი (ადგილი მოგვიანებით დაზუსტდება).

◎ ფარეშვეშ

ვარსკვლავურ ტალღაზე

28 იანვარს გორის ახალი სპორტის სასახლე საკალათბურთო სუპერლიგის ყველა ვარსკვლავის მატჩ-აქციას უმასპინძლებს, რომელშიც ერთმანეთს ქართველთა (მწვრთნელი — ლეონიდ ლაფანაშვილი, თსუ) და ლეგიონერთა (მწვრთნელი — კოტე ტულუში, ქუთაისი) გუნდები შეხვდებიან.

სასტარტო ხუთეულების წევრებს, ტრადიციისამებრ, გამოკითხვა გამოავლენს, ღონისძიებას კი, როგორც ყოველთვის, 6 საუკეთესო სნაიპერის სამქულიანთა და ბურთის კალათში ეფექტურად გდებების (ჩატენვები) კონკურსები დაამშვენებს.

* * *

ერთი თვეღა დარჩა მსოფლიოს ჩემპიონატის (იაპონია, ინდონეზია ფილიპინები) შესარჩევი რაუნდის განახლებამდე, საქართველოს ეროვნული ნაკრების ლიდერს თორნიკე შენგელიას კი, შესაძლოა, ჩრდილოეთ მაკედონიასთან თბილისსა (24 თებერვალი) და სტუმრად (27 თებერვალი) გასამართავ უმნიშვნელოვანეს შეხვედრებში თამაში პრობლემატური გაუხდეს.

საუბარია კოვიდპანდემიის გამო ევროლიგაში დაგროვებულ გადადებულ მატჩებსა და ფორსმაჟორულ ვითარებაში ფიბა-ს მიერ შემუშავებულ ახალ კალენდარზე, რომლის მიხედვითაც ცსკა-ს ბრძოლების ვადები „ჯვაროსანთა“ სამუნდიალე შეხვედრების თარიღებს ემთხვევა (24 თებერვალს „ბარსელონასთან“ და 27 თებერვალს „ბაიერნთან“).

როგორც ცნობილია, ჩვენი გუნდის კაპიტნის კონტრაქტის ერთი პუნქტი ოფიციალურ სანაკრებო მატჩებზე მის უპირობოდ გამოშვებას ითვალისწინებს, რასაც არმიელები აქამდე პირნათლად ასრულებდნენ. ვიმედოვნებთ, ასე მოხდება ამჯერადაც.

თვით რუსული გრანდი კი ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ევროტურნირში არასტაბილურად გამოსვლას განაგრძობს.

ამჯერად დიმიტრის იტუდისის შეგირდები საკუთარ დარბაზში „მილანთან“ დამარცხდნენ — 57:67, თუმცა, შენგელიამ, რომელიც თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო, უკვე მერამდენედ, ღირსეულ პირად მონაგარს მოუყარა თავი: 27 წუთსა და 15 წამში 13 ქულა, 7 მოხსნა და 2 ზუსტი პასი.

ამ დღეებში დანარჩენმა ქართველმა ლეგიონერებმაც ივაჟკაცეს:

ნბა. რეგულარული სეზონი. „გოლდენ სტეიტი“ — „ინდიანა“ 117:121. **გოგა ბითაძე** (სასტარტო ხუთეული) — 13 ქულა, 9 მოხსნა. „ფინიქსი“ — „ინდიანა“ 113:103. **გოგა ბითაძე** — 35 წუთი (სასტარტო ხუთეული) — 16 ქულა, 11 მოხსნა.

ნბა-ს განვითარების ლიგა. სანდრო მამუკელაშვილი — 28 ქულა, 6 მოხსნა.

ჩემპიონთა ლიგა. პლეი-ოფი. „ტენერიფე“ — „კარშიაკა“ 74:71 (სერია — 2:1), **გიორგი შერმადინი** — 10 ქულა, 9 მოხსნა. MVP.

◎ ტკივილი

ერთადერთი ევროპელი

72 წლისა გარდაიცვალა მშვილდოსნობაში 1980 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1973, 81), ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი (1972) და ორგზის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1972,78) ძეთევან ლოსაბერიძე.

იგი პირველი და ერთადერთი ოლიმპიური ჩემპიონი ქალია მშვილდოსნობაში ევროპის კონტინენტიდან.

2002-2005 წლებში საქართველოს მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით, ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენითა (2018) და ხალხთა მეგობრობის ორდენით.

კეთილი კაცი

ძნელია კაცმა გვარისა და პიროვნების ასეთი თანხვედრა მოძებნო. ბაბრი კეთილაძეზე მოგახსენებთ, რომელიც მართლაც სიკეთის განსახიერება გახლდათ.

დიახ, სამწუხაროდ, უკვე წარსულში უნდა მოვიხსენიოთ ეს ქუთაისელი კოლორიტი, რომელიც უკურნებელმა სენმა გამოგვაცალა ხელიდან. საბედნიეროდ, თაობებს დარჩებათ პროფესიონალი ფოტოხელოვნის მიერ შექმნილი შედევრები, რომლებიც დამოუკიდებელი ქართული სპორტის, უპირატესად ფეხბურთის თანატოლია და მის მომავალ კოლეგებს აღნიშნულ სამოღვაწეო ასპარეზს შეაყვარებს. მართალია, ჩვენმა ძვირფასმა მეგობარმა „მხოლოდ“ „ბურთსა და მოედანში“, „სარბიელში“, „მსოფლიო სპორტსა“ და თბილისის „დინამოში“ მოასწრო ღვთითმომადლებული ნიჭის გამოვლენა, მაგრამ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთელ სამშობლოს დააკლდა. საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქცია თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს რომან ანანიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** რომან ანანიძე (პ/ნ 61008005788), ბათუმი, ენვერ ხაბაძის ქ. №18ე

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ბათუმი, ენვერ ხაბაძის ქ. №18ე (საკადასტრო კოდი: 05.32.23.775).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 14672.51 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2022 წლის 24 იანვარი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2022 წლის 7 თებერვალი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP76774722; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 767747
6. **მოვალე:** რომან ანანიძე (პ/ნ 61008005788), ბათუმი, ენვერ ხაბაძის ქ. №18ე.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP76774722; ლოტის ნომერი: 767747).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2022 წლის 7 თებერვლის 10:00 საათამდე.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს დიანა ოზმანოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** დიანა ოზმანოვი (პ/ნ 01020011962), თბილისი, იაკინთე ლისაშვილის შეს. №10

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
გარდაბნის რაიონი, სოფელი მარტყოფი (საკადასტრო კოდი: 81.10.29.479).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 4793.33 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2022 წლის 24 იანვარი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2022 წლის 7 თებერვალი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP76774522; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 767745
6. **მოვალე:** დიანა ოზმანოვი (პ/ნ 01020011962), თბილისი, იაკინთე ლისაშვილის შეს. №10.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP76774522; ლოტის ნომერი: 767745).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2022 წლის 7 თებერვლის 10:00 საათამდე.

ვიქტორია სირაძე, ნათელა ვასაძე, ლამარა გაგუა, მანანა გოჩალეიშვილი, ნათელა ლაღიძე, ლია ლომიძე, მადონა მგელაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, უახლოესი მეგობრის, ღირსეული ქართველი მანდილოსნის, კეთილშობილი ქალბატონის

დალი ბოჯგუას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ახალგაზრდობის წლების მეგობრები, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეობის სფეროში კოლეგები ლია ლომიძე, ნათელა ვასაძე, ბორის სარალიძე, ვილი ალავიძე, გივი აბდუშელიშვილი, რეზო არველაძე, გურამ გუნავა, გია პოლოლიკაშვილი, დიტო ტყეშელაშვილი, თენგიზ უჩანეიშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამორჩეული პიროვნება, საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი

დალი ბოჯგუა

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

საქართველოს ი. ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია და მასთან არსებული მწიგნობარ ქალთა კლუბი ღრმა მწუხარებით იუწყება კლუბის აქტიური წევრის, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწის, უკეთილშობილესი ქალბატონის

დალი ბოჯგუას

გარდაცვალებას და უსამძიმრებენ მის შესანიშნავ ოჯახს.

სსს ჩაჩავას კლინიკის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ 2006-2011 წლებში კლინიკის გენერალური დირექტორის მოადგილის და მთავარი ბუღალტრის მოვალეობის შემსრულებლის ნინო პაპასკირის ძმისშვილის

დავით პაპასკირის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერის, გამოჩენილი ჰიდროინჟინერის, პედაგოგისა და მრავალი თაობის აღმზრდელის პროფესორ ნიკოლოზ მოწონელიძის მეუღლე და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის, პროფესორ არჩილ მოწონელიძის დედა, ქალბატონი

რუსუდან ტაბიძე

ქალბატონი რუსუდანი თავმდაბალი და დარბაისელი, მეუღლეზე, შვილებზე და ახალგაზრდებზე დღემუდამ მზრუნველი, ყველასათვის კეთილმოსურნე და შემწე გახლდათ. მისი სახელი დიდხანს იცოცხლებს ახლობლებისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელთა გულებში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს. უფალმა დაამკვიდროს ქალბატონი რუსუდანის უკვდავი სული, სადაც მართალნი განისვენებენ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე-თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.-224 00 99; 224 00 98.
მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB76015360-20100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ქართული კალიგრაფიის დღე დუბაიში

22-23 იანვარს „ექსპო 2020 დუბაიზე“ საქართველოს პავილიონი კალიგრაფიის დღეს მასპინძლობს. ღონისძიების მიზანია „დუბაი ექსპოს“ მილიონობით დამთვალიერებელს ქართული დამწერლობის კულტურა და უნიკალურობა გააცნოს.

ღონისძიების ფარგლებში საქართველოს პავილიონში ქართული კალიგრაფიის ვორკშოპი გაიმართება, რომელზეც ქართველი კალიგრაფები მონაწილეებს ქართული დამწერლობის სამი სახეობის შესახებ მოუთხრობენ და ასომთავრულად, მხედრულად და ნუსხურად შესრულებულ ნამუშევრებს წარუდგენენ.

ქართული კალიგრაფიის დღის ფარგლებში გამართულ ვორკშოპზე ასევე დაგეგმილია კერამიკაზე წერა, ქართული ასოების გამოყვანა და სხვა. გარდა ამისა, „დუბაი ექსპო 2020“-ზე, ექსპოს ტერა აუდიტორიუმში გაიმართება შეხვედრა ქართველ ავტორებთან, ხოლო დუბაის მილენიუმ ამფითეატრი ამ დღისადმი მიძღვნილ თეატრალურ პერფორმანსს – „7 ცოცხალი სურათი ქართული ლიტერატურიდან“ უმასპინძლებს.

საქართველო, მსოფლიოს 191 ქვეყანასთან ერთად, წლის ყველაზე მასშტაბურ საერთაშორისო გამოფენა Expo 2020 Dubai-ში მონაწილეობს, რომელიც გასულ წელს პანდემიის გამო გადაიდო. გამოფენის მთავარი თემატიკაა – Connecting Minds, Creating the Future, რომელიც იყოფა შემდეგ ძირითად თემებად: შესაძლებლობა, მობილობა და მდგრადობა. საქართველოს პავილიონი განთავსებულია მდგრადი განვითარების სექციაში.

მანქანა – ქამელეონი

გერმანულმა ავტომწარმოებელმა BMW-მ, მსოფლიოში პირველი ცვალებადი ფერების მქონე ავტომობილი წარადგინა. BMW-ს კონცეპტუალურ ავტომობილს ix Flow ერქმევა და ის ექსტერიერში ელექტრონული მელნის ტექნოლოგიას გამოიყენებს, რომლის დახმარებითაც ავტომობილისათვის თეთრი და ნაცრისფერი ორნამენტების შეცვლა იქნება შესაძლებელი.

BMW-ის კვლევითი ინჟინრის სტელა კლარკის, განცხადებით, ტექნოლოგიის დახმარებით ავტომობილისათვის ფერის ცვლილება სრულიად ენერგოეფექტიანია. მისი განმარტებით, მთავარი გამოწვევა ინჟინრებისათვის მასალის სამგანზომილებიან ობიექტზე მორგება იყო. ფერის ცვლილების დინამიკა კი შემდეგში მდგომარეობს: აპლიკაციის დახმარებით კონტროლირებადი ელექტრონული სიგნალები ტექნოლოგიას უკავშირდება. მასალას სხვადასხვა პიგმენტი ზედაპირზე ამოაქვს, ეს კი მანქანას სხვადასხვა ფერის ჩრდილსა და დიზაინს ანიჭებს. თუმცა ეს ფერები თეთრისა და ნაცრისფრის გამაში მონაცვლეობს.

103 წლის „საქართველოს რესპუბლიკა“ გაღასარჩენია!

რეკლამა განათავსეთ, იყიდეთ, გამოიწერეთ, ეს ყოველდღიური საუკუნოვანი გამოცემა!

ხელმოწერისთვის მიმართეთ:

„ელვა.ჯი“, www.elva.ge; ტელ: 23822673; 2 382674; 577991651; 595 382626; „პლანეტა ფორტეს“ – 2 92 18 59; 599 947 311; 579 79 99 08;

მოგვმართეთ რედაქციაში, ვაჟა ფშაველას 48
ტელ: 599 797 679; 599 36 00 35;
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru. sakresp@top.ge

კინოსტუდია... კოსმოსში



კომპანია Space Entertainment Enterprise, რომელიც ტომ კრუზის მონაწილეობით კოსმოსში ფილმის გადაღებას გეგმავს, აცხადებს, რომ ორბიტაზე საკუთარ კინოსტუდიას ააშენებს.

კომპანიაში აცხადებენ, რომ კინოსტუდია საერთაშორისო კოსმოსური სადგურის მოდული იქნება და ნებისმიერ ადამიანს, რომელსაც უწონობის პირობებში კონტენტის შექმნას მოისურვებს, ასეთი შესაძლებლობა მიეცემა, კონტენტის ტრანსლირება კი პირდაპირ ეთერში იქნება შესაძლებელი. კომპანიის გათვლებით, კინოსტუდიის მშენებლობა 2024 წელს დასრულდება. სამშენებლო სამუშაოებს ორბიტული სადგურების მწარმოებელი Axiom Space-ი გაუძღვება.

არნოლდ შვარცენეგერი ავარიაში მოყვა

ამერიკელი მსახიობი, კალიფორნიის ყოფილი გუბერნატორი არნოლდ შვარცენეგერი ლოს-ანჯელესში ავარიაში მოჰყვა. მსახიობის „ჯიპი“ „ტოიოტა პრიუსს“ შეეჯახა, რის შემდეგაც შვარცენეგერის ავტომობილი „ტოიოტას“ სახურავზე აღმოჩნდა. შეჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ შვარცენეგერის ავტომობილში უსაფრთხოების ბალიშები გაიხსნა. ავარიის შედეგად შვარცენეგერი არ დაშავებულა, „ტოიოტას“ მძღოლ ქალს კი ჰოსპიტალიზაცია დასჭირდა.

ძაღლმა გაყინვისგან გადაარჩინა

რუსეთში, სახალინის ოლქში, 10 წლის გოგო სკოლიდან შინ ბრუნდებოდა, როცა ძლიერი თოვა დაიწყო და გზას ვეღარ აგრძელებდა. თოვლს თან ერთვოდა ქარი, რომლის სიჩქარეც 80 კმ/სთ-ს აღწევდა.

მას შემდეგ, რაც გოგო სახლში არ დაბრუნდა, მშობლებმა და ადგილობრივებმა მისი ძებნა დაიწყეს. ერთ-ერთმა მოხალისემ, რომელიც ბავშვის ძიებაში ჩაერთო, ის მეორე დილით იპოვა. გოგო ძაღლისთვის შემოღობილი გალიის გარეთ იჯდა და, გასათბობად, ცხოველს ეხუტებოდა. გამოსაკვლევად, ბავშვი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

ბავშვი - 4 ხელითა და 4 ფეხით

ინდოეთის აღმოსავლეთით, ბიხარის შტატში ქალმა უჩვეულო ბავშვი გააჩინა – მას 4 ხელი და 4 ფეხი აქვს. ამის შესახებ ადგილობრივი მედია იტყობინება.

ჟურნალისტების ცნობით, ქალმა ბავშვი 17 იანვარს საკეისრო კვეთით გააჩინა. ბავშვის სქესი არ საჯაროვდება. ექიმების პროგნოზი დადებითი არ არის – საუკეთესო შემთხვევაში ბავშვი შშმ პირი იქნება, თუმცა სავარაუდოდ ის დიდხანს ვერ იცოცხლებს. ამის მიუხედავად, დედა მილოცვებს იღებს, ადგილობრივები კი პატარას ღმერთის განსახიერებად მიიჩნევენ და ოჯახისთვის საჩუქრები მიაქვთ.

ორი წლის „თაღლითი“

აშშ-ში, ნიუ ჯერსიში, 2 წლის აიანშ კუმარმა, დედის ტელეფონიდან, რომელშიც საბანკო მონაცემები იყო მითითებული, 41,700-ის ღირებულების ავეჯი გამოიწერა. – ამის შესახებ მშობლებმა მხოლოდ მაშინ გაიგეს, როცა მათ მისამართზე ამანათების მიტანა დაიწყეს.

„მთელი კვირაა, ამანათებს ვიღებთ. სახლში უკვე ადგილიც აღარ გვაქვს. დღესაც მივიღეთ ორი დიდი შეფუთვა. მოგვივიდა რამდენიმე დივანი, რომელთაგანაც ზოგი იმდენად მძიმეა, რომ ვერც ავწიე“, – ამბობს ბავშვის მამა. ბავშვის დედის თქმით, ოჯახში ნამდვილად სჭირდებოდათ 2-4 ახალი სკამი, თუმცა, შვილის მიერ გამოწერილი 12 სკამისთვის ადგილიც არ აქვთ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხვალ, 25 იანვარს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0794; ევრო - 3.4908;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.1791;
100 რუბლი - 4.0371; თურქული ლირა - 0.2297;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8101;
1000 სომხური დრამი - 6.3888.

ამინდი 24 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-4,	დღე	+11
მთიანი რაიონები -	ღამე	-6,	დღე	+7
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+1,	დღე	+9
მთიანი რაიონები -	ღამე	-4,	დღე	+5
თბილისი:	ღამე	-1,	დღე	+8

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge